

# 24 საათი

"24 საათის" ფიქიანი ნომერი \*2424

რადიკალიზმის მძვავრები

A3



ნათო ყაზახეთს ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობას სთავაზობს

A7



ისტორია და მონოდეზა

A10



## ძლიერი პოლიტიკური ნება

### რუსული ვეტოს წინააღმდეგ

საქართველოში ეუთო-ს მისიის გაგრძელებაზე რუსეთის მიერ ვეტოს დადებას საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. რუსეთი დასავლეთისგან აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი ახალი რეალობის აღიარებას მოითხოვს. ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყანამ საბერძნეთმა კი ამ საკითხზე მოლაპარაკებები შეაჩერა და იმავდროულად, ეუთო-ს წევრ ქვეყნებს საქართველოში საერთაშორისო მონიტორინგის გასაგრძელებლად ძლიერი პოლიტიკური ნების გამოვლენისკენ მოუწოდა.

დმიტრი ავალიანი

აშშ ეუთო-ს დამკვირვებლებისთვის სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე თავისუფლად შესვლის უფლებას მოითხოვს. "მივიჩნევთ, რომ ეუთო-ს დამკვირვებლებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესვლის სრული

და შეუზღუდავი უფლება უნდა ჰქონდეთ. მოვუწოდებთ რუსებს, მხარი დაუჭირონ და შეასრულონ საფრანგეთის პრეზიდენტისა და რუსეთის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება. მივიჩნევთ, რომ რუსეთმა უნდა მისცეს უფლება ეუთო-ს დამკვირვებლებს, შევიდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და მიმდებარე რაიონებშიც," - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა იენ კელიმ. მისი თქმით, "ჩვენი და საერთაშორისო საზოგადოების მიზანია მშვიდობიანი და სტაბილური კავკასია. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეუთო ამ სტაბილურობის მიღწევისთვის დიდ როლს თამაშობს."

საქართველოში ეუთო-ს მისიის გაგრძელების საკითხზე კონსულტაციები ჩიხში შევიდა, თუმცა ამაში რუსეთს ბრალი არ მიუძღვის, - განაცხადა, თავის მხრივ, რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ეუთო-ში ანვარ აბიმოგამა.

ბაზრძალაბა A2 გვირდვა

## სირსხვილის ფქვილი სირსხვილის დარეფნის წილ

დათო გაბისონია

მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო აქციების ორგანიზატორმა ოპოზიციურმა პარტიებმა ერთობლივი სამოქმედო გეგმა გამოაქვეყნეს, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს შორის გუშინ გამართული ორი თათბირი საკმარისი არ აღმოჩნდა კოსტავას ქუჩიდან საკნების აღების საკითხის გადასაწყვეტად. ამავე დროს, ხელისუფლების ოპონენტები, ნინო ბურჯანაძის თაოსნობით, საზოგადოებრივი მაუწყებლის პიკეტირებას აგრძელებენ, რასაც საპასუხო პროტესტი მოჰყვა.

ქუჩა უნდა გაიხსნას კეთილი ნების ნიშნად, რათა საზოგადოებამ შეძლოს შეუფერხებელი გადაადგილება, მაგრამ, ბუნებრივია, სარხის პიკეტირებას გავაგრძელებთ, - განაცხადა გუშინ დილით ალიანსი საქართველოსთვის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ.

ბაზრძალაბა A3 გვირდვა



ბასო ბალაშვილი/ფოტო

## ზურბისაკენ ნაბიჯით იარ!

სოფიო თოღაა

სამედიცინო უნივერსიტეტის ან უკვე ყოფილ რექტორ გიორგი მენაბდეს კანონი არ დაურღვევია, როდესაც თანამდებობაზე უარი თქვა და უნივერსიტეტი უკომენტაროდ დატოვა. განათლებისა და ჯანდაცვის მინისტრებსაც ვერ დავადანაშაულებთ სამსახურებრივ გულგრილობაში, როცა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული უმაღლესი სასწავლებლის რექტორს უკან არ დაედევნენ და წასვლის მიზეზი

არ ათქმევინეს. არც "24 საათს" უსაყვედურებენ, თუ ამ საკითხთან დაკავშირებული შესაშური დუმის მიუხედავად, ჩვენ ჩვენს ვეცადეთ და როგორც შეგვეძლო, ფაქტები ისე შევაჯერეთ.

რექტორი უნივერსიტეტიდან მიდის

ეს არც პირველი შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში და არც უკანასკნელი. თუ დიოკლეტიანემ თქვა უარი რომის ომპე-

რიის მართვაზე და ყველასაგან მოულოდნელად მშობლიურ დალმაციაში კომპოსტოს (ლათ: brassica) მოყვანას მიჰყო ხელი, გია მენაბდესაც აქვს უფლება, მის მიერვე დაარსებულ სტომატოლოგიურ კლინიკას დაუბრუნდეს. ითქვა, რომ რექტორის წასვლა, შესაძლოა, მისივე ქვისლის, ირაკლი ოქრუაშვილის ამჟამინდელმა სტატუსმა განსაზღვრა. არც ეს ვერსია იქნებოდა გამორიცხული, რომ არა, ჩვენი აზრით, გაცილებით სერიოზული მიზეზები, რის გამოც მენაბდემ რექტორობაზე უარი გა-

ნაცხადა. სხვათა შორის, რექტორობის ვადის ამოწურვამდე მას 9 თვეა ჰქონდა დარჩენილი. "25 ნაბიჯი წინ, ერთი ნაბიჯი უკან", - ასე დაასათურა გია მენაბდემ თავისი გამოსვლა აკადემიური საბჭოს წინაშე, სადაც ის შეეცადა ყველა იმ პრობლემისთვის მოეყარა თავი, რაც მისი რექტორობის დროს გადაიჭრა ან გადაუჭრელი დარჩა. საბჭოს 23 წევრიდან 21-მა რექტორის წასვლის მცდელობა გააპროტესტა და მას მოსაფიქრებლად ერთი თვე მისცა.

ბაზრძალაბა A4 გვირდვა

**24 საათი**

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

**თიბისი ბანკი TBC BANK**  
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

**GRDC group**

**პინის სადაზღვეო ჯგუფი**



### სკანდალური კონგრესი სოჭში

გუშინ სოჭში საქართველოს ხალხთა ასამბლეის პირველი კონგრესი გაიხსნა, რომლის ამოცანაც საქართველოს ტერიტორიაზე და კავკასიაში მცხოვრები ხალხების გაერთიანებაა. “პოსტსაბჭოთა სივრცეში არ დარჩენილა მიწის არც ერთი კუთხე, რომელსაც ეროვნებათაშორისი განხეთქილება არ შეხებია. ერთადერთი ქალაქი, სადაც ეს არ ხდება, სოჭია, რომელიც ინტერნაციონალური ქალაქია, ერთი დიდი ოჯახია და ჩვენ პირველი კონგრესის აქ ჩატარების გადამწყვეტილება სწორედ ამიტომ მივიღეთ,” - განაცხადა მსოფლიო ხალხების ასამბლეის თავმჯდომარე გოჩა ძასოხოვმა. მისივე თქმით, “ასამბლეის კონგრესის მთავარ ამოცანას კავკასიის ხალხების გაერთიანება და რეგიონში მშვიდობის პრობლემის გადამწყვეტა წარმოადგენს.” “კავკასია საერთო სახლია. ღმერთმა ეს ეთნიკური მოზაიკა შექმნა არა იმისთვის, რომ დაიღუპოს. თუ საქართველოში სიმშვიდე არ დაისადგურებს, მშვიდობა არც კავკასიაში იქნება,” - განაცხადა ძასოხოვმა. ამასთან, ასამბლეის თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ “ეს ფორუმი გახდება პირველი ნაბიჯი არა მხოლოდ ახალი პოლიტიკური ძალების ფორმირებისკენ, არამედ ახალი ქართული პოლიტიკისკენაც.”

გუშინვე კონგრესის წინაშე სიტყვით გამოვიდა რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ალექსანდრე ებრალიძე. მისი განცხადებით, ის აპირებს საქართველოში მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, რათა ხელი შეუწყოს რუსეთ-საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთობების აღდგენას. მის ამ განცხადებას კონგრესის მონაწილეთა არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. დამსწრე ქართველების ნაწილმა ებრალიძის გამოსვლის შემდეგ დარბაზი დატოვა.

საკუთარი ინფორმაცია

### პარიზში წმინდა მეფე თამარის სახელობის ახალი ქართული ტაძარი გაიხსნა

გუშინ წმინდა თამარ მეფის ხსენების დღეს, პარიზში წმინდა მეფე თამარის სახელობის ახალი ქართული ტაძარი გაიხსნა. ტაძარი აკურთხა და პირველი სადღესასწაულო წირვა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ქართველ მღვდელმთავრებთან და სამღვდლოებასთან ერთად აღავლინა. ახალ ტაძარში იმსახურებს მღვდელ-მონაზონი ანტონი (კანდელაკი). ტაძრის კატეხორია ბუბა ქეზუაძე, არქიტექტორი - არჩილ მინდიაშვილი, კედლის მხატვრობა შეასრულა მამუკა მიქელაძემ. პარიზში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საფრანგეთის კარდინალთან, ქართულ დიასპორასთან. კათოლიკოს-პატრიარქმა ლევილის სასაფლაოზე, ემიგრაციაში გარდაცვლილ თანამემამულეთა სულის საოხად, პანაშვიდი აღავლინა და ქართველობას სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. საქართველოს ეკლესიის დელეგაცია სამშობლოში დღეს დაბრუნდება.

ჯი-ეიჩ-ენი

### შამხამ გაერო-ს წარმომადგენლებს შესჩივლა

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამხამ აცხადებს, რომ აფხაზეთის გალის რეგიონის მოსახლეობისათვის აფხაზური პასპორტების დარიგება ნებაყოფლობითია და ამ პროცესის მიმდინარეობისას ძალას არავინ იყენებს. ეს განცხადება შამხამ გაერო-ს ადამიანის უფლებების დაცვის უმღელესი კომისარიატის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გააკეთა. “გალის რაიონში აფხაზური პასპორტების გაცემის პროცესი ნებაყოფლობითი ხასიათისაა, ხოლო აფხაზეთის ხელისუფლების დადანიშნულეობა იმაში, რომ გალის რაიონის მოსახლეობას აფხაზური პასპორტების აღებას აიძულებენ, სინამდვილეს არ შეესაბამება და ამ ბრალდებებს არავითარი საფუძველი არ გააჩნია. ეს პროვოკაციული ბრალდებებია,” - აცხადებს სერგეი შამხამ და საუბარს აფხაზეთის მოქალაქეების დარღვეულ უფლებებზე აგრძელებს. მისი თქმით, ევროპის ქვეყნები ძალიან ხშირად არღვევენ აფხაზეთის მოქალაქეების უფლებებს, არ აძლევენ მათ საშუალებას, თავისუფლად გადაადგილდნენ ევროპის ქვეყნებში და ვიზის საქართველოში აღებას აიძულებენ. “მაგალითად, გერმანიის საელჩომ აფხაზეთის მცხოვრებ 16 წლის ახალგაზრდას, რომელსაც მიუნხენის ერთ-ერთ უდიდეს კლინიკაში სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროებოდა, ვიზა არ მისცა და განუცხადა, რომ ვიზა თბილისში არსებულ გერმანიის საკონსულოში უნდა მიიღოს. ეს აფხაზეთის მოქალაქეების უფლებების პირდაპირი დარღვევაა და სხვა არაფერი,” - განაცხადა სერგეი შამხამ.

ჯი-ეიჩ-ენი

## ქლიარი პოლიტიკური ნება

პირველი პერიოდიდან

ვენაში გამართულ ეუთო-ს მუდმივი საბჭოს მოსამზადებელი კომიტეტის სხდომაზე მისიის განახლებას მხოლოდ რუსეთი არ დათანხმდა - მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის წინადადებები კომპრომისულ ფორმულირებებს შეიცავდა. რუსეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა პირობა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ქვეყნის დანარჩენ ნაწილს შორის საერთაშორისო დამკვირვებელთა თავისუფალი გადაადგილების შესახებ. როგორც ანვარ აზიმოვი აღნიშნა, რუსეთი თავიდანვე უჭერდა მხარს რეგიონში ეუთოს მისიის ყოფნის გაგრძელებას. თუმცა სქემა, რომელიც ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა შემოგვთავაზეს, იმას ეფუძნება, თითქოს ქართული აგრესიის შემდეგ რეგიონში არაფერი

მომხდარა და არაფერი შეცვლილა. ასეთი მიდგომა ახალ საერთაშორისო სამართლებრივ და პოლიტიკურ რეალობებს არ შეესაბამება, - განაცხადა რუსმა დიპლომატმა.

იმავედროულად, მოსკოვში თავს იმართლებენ და რუსეთის მიერ გადამწყვეტილების ბლოკირებას უარყოფენ. “ჯერჯერობით არავითარი გადამწყვეტილება არ არის მიღებული და ამ საკითხის გარშემო მწვავე დისკუსია კვლავ მიმდინარეობს,” - განუცხადა გუშინ რუსულ მედიას წყარომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტოდან. იმავედროულად, რუსმა დიპლომატმა განმარტა, რომ საბერძნეთის მიერ წარმოდგენილი წინადადებები ცხინვალისა და მოსკოვისთვის მიუღებელია.

საბერძნეთმა გაურკვეველი ვადით შეაჩერა მოლაპარაკებები საქართველოში ეუთო-ს მისიის

ყოფნის შესახებ, - განაცხადა გუშინ ეუთო-ს მუდმივი საბჭოს თავმჯდომარემ, საბერძნეთის ელჩმა მარა მარინაკიმ. მისი თქმით, ხუთთვიანი ინტენსიური არაფორმალური მოლაპარაკებების შემდეგ განუვლი ძალისხმევის კრიტიკულად შეფასების და გაანალიზების დრო დადგა.

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ აუცილებელია რეგიონში ეუთო-ს საქმიანობის არათუ შემცირება, არამედ გაძლიერება, - განაცხადა ელჩმა. მან მოუწოდა ეუთო-ს წევრ ყველა ქვეყანას, ამ მიზნის მისაღწევად ძლიერი პოლიტიკური ნება გამოავლინონ.

მარა მარინაკის განცხადებით, მოლაპარაკებების შეჩერების მიუხედავად, იმედი გვრჩება, რომ კონსენსუსი მალე მიიღწევა.

რუსეთის მიერ ვეტოს დადე-

## რუსულ-მარიონეტული სახედრო კავშირი

ნათია მსხილაძე

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ და სეპარატისტული აფხაზეთის ანალოგიურმა უწყებამ სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულება ხელმოსაწერად უკვე მოამზადეს, - განაცხადა სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრმა მერაბ ქიშმარიამ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გაზეთ “კრასნაია ზვეზდასთვის” მიცემულ ინტერვიუში.

რუსული სამშვიდობო მისიის დასრულების შემდეგ აფხაზეთის მიწაზე რუსული სამხედრო კონტინგენტი დარჩა და ეს სტაბილურობის გარანტიაა მთელი რეგიონისთვის. რუსეთი დარჩება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად, რომელთანაც ჩვენი მომავალი დაკავშირებული. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მხოლოდ რუსეთმა მშვიდობის გარანტი მთელ სამხრეთ კავკასიაში, - აცხადებს ქიშმარია.

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრი განმარტავს: დანტერესებულინი ვართ რუსეთის შეია-

რალეულ ძალებთან თანამშრომლობის ყველა მიმართულებით, იქნება ეს სამხედრო, სამხედრო-ტექნიკური ურთიერთობა თუ ამ მიმართულებით სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის შექმნა.

სეპარატისტული აფხაზეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის თქმით, აფხაზეთი ასევე დანტერესებულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებთან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი ერთობლივი სისტემის შექმნით და სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის გაღრმავებით. გარდა ამისა, მერაბ ქიშმარიას განცხადებით, აფხაზ და რუს სამხედროებს შორის მომავალშიც დაგეგმილია ერთობლივი სამხედრო-საშტაბო სწავლებების და სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება, თუმცა შესაბამის ტექნოლოგიურ გაფორმებამდე, ყოველივე ამის შესახებ საუბარი ნაადრევად მიმართა.

რუსეთი და აფხაზეთი სამხედრო ხელშეკრულების გაფორმებას რომ გეგმავენ, ქართველ ექსპერტ დავით აფრასიძის განმარტებით, ეს მოსალოდნელი იყო, რადგან მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ამ ტე-

რიტორიებს უყურებს როგორც სამხედრო პლაცდარმს. აფხაზეთის სამხედრო წვრთნებს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. თუ არის რეალური საუბარი სამხედრო მოქმედებებზე, სამხედრო ნაბიჯებზე, ეს ნიშნავს რუსული ამბავია. ამას აქვს რეგიონული მნიშვნელობა, თვითონ აფხაზეთში კი ეს მუშტის ჩვენებას წარმოადგენს და, რა თქმა უნდა, სიმბოლური დანიშნულება აქვს შიდა მოხმარებისთვის ანუ, აჩვენებენ, რომ რაღაცას აკეთებენ. პლუს, ეს არის სიგნალი ნატო-სთან მიმართებაში, რომ უკან დახევა არ აპირებენ, - განაცხადა გაზეთ 24 საათთან საუბრისას ექსპერტმა დავით აფრასიძემ.

რაც შეეხება სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრ მერაბ ქიშმარიას განცხადებას, რომ რუსეთი არის მშვიდობის გარანტი მთელ სამხრეთ კავკასიაში, აფრასიძის განცხადებით, ეს არის მათი მხრიდან კიდევ ერთხელ იმის დადასტურება, რომ რუსეთის ზონას წარმოადგენენ. სანამ თავდაცვის მინისტრი იტყოდა, რომ რუსეთი არის მშვიდობის გარანტი მთელ სამხრეთ კავკასიაში, მანამდე რუსეთის პრეზიდენტმა მედე-

ბა საქართველოში ეუთო-ს საქმიანობაზე ქართულ მხარეს უფლებას აძლევს, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის გაძლიერება მოითხოვოს. ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი მინაშვილმა განაცხადა.

რუსეთმა კიდევ ერთხელ დაანახა ყველას, რომ დესტრუქციულ ძალას წარმოადგენს. გასაგებია, რომ სწორედ რუსეთის ინტერესებშია არეულობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიასა და მთლიანად მსოფლიოში, - განაცხადა მინაშვილმა. მისი თქმით, რუსეთი მის მიერ არჩეულ გზას თვითოვლოვანობისკენ მიჰყავს, რაც თავად რუსეთს დაზარალებს.

დევმა აღნიშნა, რომ კავკასიაში წესრიგის დამცველი რუსეთი იქნება. ანუ, ის წყვეტს, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს რეგიონი, - აღნიშნა აფრასიძემ. მართალია, აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრმა მერაბ ქიშმარიამ ახლა გაახმაურა სეპარატისტების სურვილი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებთან ერთობლივი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შექმნის შესახებ, თუმცა რამდენიმე დღის წინ, ქართულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსი ოკუპანტები ამონტაჟებენ ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარებსა და სხვადასხვა სახის ტექნიკას. ტყვეთა რამდენიმე დღის წინ, ქართველ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსი ოკუპანტები ამონტაჟებენ ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარებსა და სხვადასხვა სახის ტექნიკას. ტყვეთა რამდენიმე დღის წინ, ტყვედარღვეულ რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ და შეიარაღების გენშტაბის ხელმძღვანელი იმყოფებოდნენ.

## საკონსტიტუციო ლაშქარი

დაადასტურა.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის თქმით, საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში აქტიურად ჩაერთვებიან უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, იურისტები და ექსპერტები.

პრეზიდენტის შეთავაზება ეხებოდა როგორც ოპოზიციურ პარტიებს, ასევე მთელ საზოგადოებას. არა მხოლოდ პოლიტიკოსებმა, არამედ საზოგადოებამ უნდა გადამწყვეტოს, თუ როგორ იქნება ხელისუფლების გადანაწილება საქართველოში,” - აღნიშნა პარლამენტის სპიკერმა განათლების სამინისტროში, მომავალი კონსტიტუციის ავტორებთან გუშინდელი შეხვედრის დაწყების წინ.

რალაც ფორმის წინასწარ

### გიორგი ასანიშვილი

საქართველოს, როგორც ჩანს, ახლო მომავალში ახალი კონსტიტუცია ექნება. ამის მანიშნებელია თუნდაც ის, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციისა და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერებთან შეხვედრის დროს, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საკონსტიტუციო თემატიკაზე ვრცლად ისაუბრა და პოლიტიკურ ოპონენტებს კონკრეტული წინადადებებიც შესთავაზა. მართალია, არასაპარლამენტო ოპოზიციამ ამ შეთავაზებისგან თავი შორს დაიჭირა, მაგრამ სამაგიეროდ, საპარლამენტო უმცირესობამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი

დათქმა აბსოლუტურად წარმოუდგენელია, - აცხადებს ამ შეხვედრის მასპინძელი, განათლების მინისტრი ნიკა გვარამია. ამასთან, ის იმ პოლიტიკოსებს აკრიტიკებს, რომლებიც საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადასვლას ქვეყნის დემოკრატიულობის აუცილებელ წინაპირობად მიჩნევენ.

ქვეყანა კონსტიტუციას ვერ მოეგება, თუ არ არსებობს ეფექტარული შესაბამისობა, ერთი მხრივ, მის პოლიტიკურ კულტურასა და ისტორიულ გამოცდილებას და, მეორე მხრივ, თავად კონსტიტუციის შორის, - აღნიშნავს განათლების მინისტრი.

შეხვედრის კიდევ ერთი მონაწილე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუაძე მიიჩნევს, რომ

კონკრეტულ საკონსტიტუციო მოდელზე საუბარი ამ ეტაპზე ნაადრევია.

მთავარია, შინაარსობრივად განისაზღვროს პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილება. კონსტიტუცია აუცილებლად უნდა გახდეს ერთგვარი ეროვნული თანხმობის დოკუმენტი, - აცხადებს თსუ-ს რექტორი.

მისივე თქმით, შესაბამისი შეთავაზების შემთხვევაში, საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე კომისიის მუშაობაში თავდადაც ჩაერთვება.

კომისიამ უნდა შეიმუშაოს მმართველობის ოპტიმალური მოდელი, რომელიც პოლიტიკური კონფლიქტის მძევალი არ იქნება,” - ვარაუდობს გიორგი ხუბუა.

გაზეთი "24 საათის" გამოცემაელი შპს "მეზა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშვილი, პაატა მუშაბიძე.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: შალვა ჭავჭავაძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),

სოფო კილაშინია (რეჟია), ანა ფარუშვილი (პორტი). რედაქცია და მარკეტინგის მენეჯერი: ირაკლი ლეივა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული მენეჯერი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირაკლი ჯიქარიანი, დიმიტრი შულუტაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავლაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge



# სირსხვილის ფქვილი სირსხვილის დარეზის წილ

პირველი გვარდია

საპროტესტო აქციის მონაწილეების ნაწილი კოსტავას ქუჩიდან საკნების ალბანო ოპოზიციის უკანდახევად შეაფასა. უკმაყოფილო მომიტინგეებთან მივიდნენ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე და მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის გენერალური მდივანი ეკა ბესელია. პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი სცადა, შეკრებილი მოქალაქეებისთვის აეხსნა კოსტავას ქუჩიდან საკნების ალბანო აუცილებლობა, მაშინ როცა ეკა ბესელიამ აქციის მონაწილეებს განუცხადა, რომ ეთანხმება მათ მოთხოვნას. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა გაიყარა ოფისში გამართეს კონსულტაციები. თავდაცვის ყოფილი მინისტრის ინიციატივით, ოპოზიციის ლიდერებთან ერთად მოლაპარაკებებს დაესწრო საპროტესტო დემონსტრაციაზე მყოფი რამდენიმე

მოქალაქეც. ოპოზიციის შიდა მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ კოსტავას ქუჩის გახსნა გადაიდო. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის ლიდერები დათანხმდნენ კოსტავას ქუჩაზე პიკეტირების შენარჩუნებას, რუსთაველის გამზირზე განახლებულ საინფორმაციო მიტინგზე მათ სცადეს, შეკრებილი დემონსტრანტები თავიანთი ოპოზიციის სისწორეში დაერწმუნებინათ. პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ ხალხს საპროტესტო აქციების ორგანიზატორებმა განუმარტეს, რატომ არის აუცილებელი კოსტავას ქუჩის გახსნა. საქართველოს გზის ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა მომიტინგეებს სთხოვა, რომ გაეგებთ მოეკიდონ მათ ოპოზიციას. **გზა გაიხსნება და საკანი გადავა იქ, სადაც უნდა იყოს. სწორედ იმიტომ გადავა, რომ ჩვენი მთავარი მოთხოვნა არის სააკაშვილის გადადგომა. საკნების გადატანა-არგადატანა არ არის მთავარი თემა, ისევე როგორც**

**ციხის ბუნტის ორგანიზების ჩემთვის დაბრალება არის ეშმაკის, აგრეთვე ეშმაკის თემა არის, რომ თითქოს ალანია არის ხელისუფლების აგენტი ოპოზიციაში,** - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. რუსთაველის გამზირზე განთავსებული სცენიდან მიმართა შეკრებილ დემონსტრანტებს ალიანსი საქართველოსთვის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ. იგი მიიჩნევს, რომ პროტესტის გამოხატვა უნდა გაგრძელდეს "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შენობასთან, რადგან ეს მოქალაქეების სურვილია. ალასანიას აზრით, კოსტავას ქუჩაზე საავტომობილო გზა უნდა გაიხსნას. **არავინ უნდა ალიქვას ისე, თითქოს საკანი სადაც მოწყდება და სადაც გადავა. ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება და მას თქვენ პატივი უნდა სცეთ,** - განუცხადა მომიტინგეებს ირაკლი ალასანიამ. ალიანსი საქართველოსთვის ლიდერის აზრით, ემოციებს კარგი არაფერი მოაქვს, თუკი მას წინ ჰქუა არ

**გაუძღვა. ჩვენ ვდგავართ ერთად და ვიბრძვით ერთი მიზნისთვის. რა თქმა უნდა, გვაქვს განსხვავებული აზრი, მაგრამ მიზანი გვაქვს საერთო, ამიტომ ერთად ვიართ ამ მიზნისკენ.** ოპოზიციის ლიდერების მიმართების მიუხედავად, ჯერ-ჯერობით უცნობია, როდის აღდგება საავტომობილო მოძრაობა კოსტავას ქუჩაზე. **გაპროტესტებული პროტესტი** მანამ, სანამ კოსტავას ქუჩაზე მყოფი მომიტინგეები საკნების ალბანო განდევნილებას გააპროტესტებდნენ, 9:00 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის წინ კვლავ შეიკრიბა ოპოზიციის თითქმის ყველა ლიდერი. საზოგადოებრივი მაუწყებლის ყურნალისტებს და თანამშრომლებს შენობაში შესვლა შეძახილების და სტვენის ფონზე, თოკით გაკეთებული ე.წ. სირცხვილის დერეფნის გავლით უწევდათ. ნინო ბურჯანაძის ინიციატივით გაკეთებული სირცხვილის დერეფანი, გუშინ შურნალისტმა დავით პაიჭაძემ გა-

აპროტესტა. საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელმა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატად მაუწყებლის შენობასთან ფქვილი მიიტანა. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მიიჩნევს, რომ **პოლიტიკოსს, რომელმაც შარშან თებერვალში პარლამენტის თავმჯდომარედ ყოფნისას, ასე ვთქვათ, ააგლო ოპოზიცია საზოგადოებრივ არსზე გამოსახატა უკრებლად, პოლიტიკოსს, რომლის პარტიის წევრები არ დარიდებიან იარაღის შესყიდვას, ამასთან, მაღალი ალბათობით, ბანდიტური გზით ცდილობდნენ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენას, პოლიტიკოსს, რომელსაც არ შეუვსია დეკლარაცია და ერთ ღარად აქვს შესყიდული მრავალმილიონად შეფასებული უძრავი ქონება, უბრალოდ, არ გამოუვა არც ერთი შურნალისტის შერცხვენა,** - აღნიშნა დავით პაიჭაძემ.

## რადიკალიზმის მძევლები

თამარ ხორბალაძე

საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ გზის გახსნის მცდელობა გუშინ უშედეგოდ დასრულდა. ლიდერებს, მათ შორის ლევან გაჩეჩილაძეს, გოგა ხაინდრავასა და იდეის ავტორ ირაკლი ალასანიას საპროტესტო აქციებში ჩართული საზოგადოების ნაწილმა აღნიშნული ნაბიჯისგან თავის შეკავება მოსთხოვა. **"ხალხი თუ წუხდება, შეწუხდნენ, ჩვენ ხუთი წელია, შეწუხებული ვართ,"** - ასეთი იყო არგუმენტი.



APF / 2009

ხალხი, მით უმეტეს, ის, ვინც საპროტესტო აქციებში აქტიურად მონაწილეობს, ყოველთვის რადიკალურია. ეს საყოველთაოდ ცნობილია. მით უმეტეს, თუ ამ რადიკალიზმს საკუთარი მოქმედებებით და მონაწილეობით ერთ თვეზე მეტია, კვება. დილემა - როგორ გამოიყვანო ხალხი ქუჩაში ისე, რომ ხელისუფლების მისივე გადადგომის ილუზია არ შეუქმნას, პოლიტიკოსებისთვის მუდმივად დგას. თუმცა შემდეგ, როცა ქვეყნის ბედზე პასუხისმგებლობაზე მიდგება საქმე, რაც ხელისუფლების გარდა, ოპოზიცია-საც აკისრია (ამას ამ დღეებში დასავლეთის მიერ გამოგზავნილი დიპლომატები აქტიურად უხსნიდნენ ორივე მხარეს), გონივრული გადაწყვეტილებების მიღების დრო გადავა ხოლმე და ახალი დილემა ჩნდება - როგორ გადახვიდე ცივილიზებული დიალოგის რეჟიმში ისე, რომ არ დაკარგო ერთი თვის მანძილზე შენს გვერდით მდგომი საზოგადოების მხარდაჭერა.

ჩვენებში ოპოზიციის გამანადგურებელი მარცხის მიზეზი. ამიტომ დღეს ოპოზიციის უმრავლესობა, რომელიც მოვლენათა განვითარების საუკეთესო პერსპექტივად, აშკარად, საპარლამენტო არჩევნებს მიიჩნევს (თუმცა ამას ლიდ არ ალიარებს), ამ მხარდაჭერას ყველა შესაძლო ხერხით უფროსი იქნებოდა ამისთვის უფრო გონივრული იქნებოდა მხარდაჭერათვის რეალური მოლოდინების შექმნა; საკუთარი მოთხოვნების ნიშნულს უმაღლეს რადიკალურ ზღვრამდე აწევს თვის შეკავება; თუმცა საწყის ეტაპზე რადიკალიზმმა გამიარაგა, დღეს კი ამ არჩევანის ნაყოფის მომკის დრო დადგა.

გუშინ ოპოზიციის გადაწყვეტილება - აღარ აელაგებინათ საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ, საავტომობილო გზაზე დადგმული საკნები, მორიგი დილემის გადაჭრის გზაზე უსუსურობის აღიარების ნიშანი გახლდათ. საინტერესოა, რომ ოპოზიციამ ქუჩა-

ში გამართულ სახელდახელო დიალოგში საკუთარ მომხრეებს საკუთარი პოზიციის - ქუჩის გახსნის - დასასაბუთებლად საჭირო არგუმენტები ვერ შესთავაზა. მეტიც - ხალხის რეაქციით შემოთღობულმა ოპოზიციონერებმა "ხალხი" გაიყარა ოფისის ოფისში წაიყვანეს და იქიდან გამოსულემა გამოაცხადეს, რომ ამ ეტაპზე ტელევიზიის წინ გზა გადაკეტილი დარჩება.

რამ საერთო ოპოზიციური არჩევანი ისევე რადიკალიზმისკენ გადაიხაროს. მით უმეტეს მაშინ, როცა ეშმაკები (როგორც სალომე ზურაბიშვილი ამბობს) ირაკლი ალასანიას, დიალოგზე საუბრის დაწყების გამო, უკვე უნობდებენ მიშას აგენტს; როცა დიალოგის ხსენებაზე ტრიბუნასთან გამოშვალ იმავე ალასანიას ლევან გაჩეჩილაძის დახმარება სჭირდება მომიტინგეთა დასამოშინებლად; როცა ალასანიას ალიანსის წევრი გამყრელი ლიდერის ინიციატივას პიკეტირების შეწყვეტის შესახებ არ ემორჩილება და საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან, დილის 9:00 საათზე ნინო ბურჯანაძესთან ერთად მიდის; ნინო ბურჯანაძე კი კვლავ აგრძელებს მუშტების ქნევას და "ვისი აჯობებს" პრინციპით სიტუაციის გამწვავებას გეგმავს.

ცხადია, ეს გადაწყვეტილება უფრო მეტად ასხამს წყალს ოპოზიციის რადიკალური ფრთის მიზნებზე, რომელმაც გუშინ დილიდან საზოგადოებრივი ტელევიზიის წინ კვლავ მოაწყო სირცხვილის დერეფანი და კიდევ ერთხელ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ოპოზიციონერები, მათი რეალური განწყობების მიუხედავად, რადიკალების და აქციების დასაწყისში არჩეული რადიკალიზმის მძევლები აღმოჩნდნენ - იმ რადიკალიზმისა, რომელიც, სხვათა შორის, ოპოზიციის წარმომადგენლების ნაწილის განცხადებ-

ბითვე, არსებული ხელისუფლების წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად იქცა. თუმცა საქართველოში, როგორც წესი, სხვის შეცდომებზე არავინ სწავლობს. საკუთარ შეცდომებზე სწავლის თვალსაზრისით კი ძალზე საინტერესო იყო გუშინ ლევან გაჩეჩილაძესა და მოსახლეობის ნაწილს შორის შემდგარი დიალოგი, როცა გაჩეჩილაძე მომიტინგეებს ურჩევდა, "მთელი საზოგადოების სახელით" არ ესაუბრა. არადა, იმის შეგრძნება, რომ პარლამენტთან თუ ტელევიზიასთან გამოსულ ადამიანებს მთელი საზოგადოების სახელით საუბრის და საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკის განსაზღვრის საფუძველი ჰქონდათ, ოპოზიციამ ამ ხალხს აშკარად თავად შეუქმნა.

ამ სიტუაციაში და იმ ფონზე, როცა ხელისუფლება ისევე ხისტი თავის შეთავაზებებში, დიალოგში შეხების ნერტივების პოვნის იმედი კი საკმაოდ ეფემერულია, საკმაოდ დიდი რისკი არსებობს,

რამ საერთო ოპოზიციური არჩევანი ისევე რადიკალიზმისკენ გადაიხაროს. მით უმეტეს მაშინ, როცა ეშმაკები (როგორც სალომე ზურაბიშვილი ამბობს) ირაკლი ალასანიას, დიალოგზე საუბრის დაწყების გამო, უკვე უნობდებენ მიშას აგენტს; როცა დიალოგის ხსენებაზე ტრიბუნასთან გამოშვალ იმავე ალასანიას ლევან გაჩეჩილაძის დახმარება სჭირდება მომიტინგეთა დასამოშინებლად; როცა ალასანიას ალიანსის წევრი გამყრელი ლიდერის ინიციატივას პიკეტირების შეწყვეტის შესახებ არ ემორჩილება და საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან, დილის 9:00 საათზე ნინო ბურჯანაძესთან ერთად მიდის; ნინო ბურჯანაძე კი კვლავ აგრძელებს მუშტების ქნევას და "ვისი აჯობებს" პრინციპით სიტუაციის გამწვავებას გეგმავს. დღეს ვითარების შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების იმედს საკმაოდ ცოტა რამ იძლევა, თუმცა ასეთი დეტალები მოძებნა მინც შეიძლება: ამის მაგალითია ხელისუფლების გადაწყვეტილება - არ ჩაატაროს 26 მაისის ალღუმი, რაც მისთვის პოლიტიკურად მომგებიანი არ გახლავთ, თუმცა დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად უდავოდ გონივრულია. ასევე ოპოზიციის (სალომე ზურაბიშვილისა და ლევან გაჩეჩილაძის ჩათვლით) მცდელობა, ალასანიას პოზიცია არ აქციოს მოლატის პოზიცია და შეინარჩუნოს ერთიანობა; ამასთან ერთად კი პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე ირაკლი ალასანიას გუშინდელ გამოსვლა, რომელიც იმავე ზომიერი არჩევანისკენ მონოდებთ, კოსტავას ქუჩის გახსნის აუცილებლობის მონოდებთა და დიალოგისთვის მზაობით იყო გამსჭვალული და რომელიც, ყველა წინამორბედისგან განსხვავებით, პირველად ამ საპროტესტო პროცესის მანძილზე, ლიდერისთვის აუცილებელი სიმკაცრითა და ერთგვარი კატეგორიულობით გა-მოიჩინა.

## დიალოგი კონკრეტული ნაბიჯებისთვის

არასაპარლამენტო ოპოზიციისა და დიპლომატების შეხვედრა

გუშინ სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში ოპოზიციის ლიდერები - ირაკლი ალასანია, სალომე ზურაბიშვილი, დავით უსუფაშვილი და ნინო ბურჯანაძე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ოპოზიციის განმარტებით, მათ დიპლომატებს ქვეყანაში შექმნილი რეალური ვითარება გააცნეს და აუხსენეს, რატომ არის სააკაშვილის ოპონენტებისთვის მიუღებელი პრეზიდენტის ხუთთუქტიანი შეთავაზება.

ტარი მისცა მედიას რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა. "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე შეხვედრით კმაყოფილი იყო. მისი თქმით, დიპლომატებს რეალური, ობიექტური ინფორმაცია მიანდეს. **"დიპლომატიურ კორპუსს ჰქონდა სრულიად განსხვავებული ინფორმაცია ოპოზიციისა და პრეზიდენტის შეხვედრის შესახებ. ჩვენ გავაცანით ჩვენი მოქმედებების სტრატეგია და ტაქტიკა, მე განვმარტე, რატომ არის კრიზისიდან გამოსასვლელად აუცილებელი სააკაშვილის გადადგომა. მე მესმის, რომ სტაბილურობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მოჩვენებითი სტაბილურობა, რომელიც ქვეყანას ხელს უშლის დემოკრატიულ განვითარებაში,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

იმ შემთხვევაში ექნება აზრი, თუ ორივე მხარე ქვეყნისთვის საჭირო ოპორტო საკითხებს ნამოყვანებს: **"ვიმჯელებთ და გადაწყვეტთ, რა შემადგენლობა იქნება ოპოზიციის დელეგაციაში. მზად ვართ დიალოგისთვის იმ შემთხვევაში, თუ ამას კონკრეტული ნაბიჯები მოჰყვება. საუბარია შესაძლო შეხების ნერტივებზე. საარჩევნო კანონი, მედია, რეპრესიული მანქანების აღკვეთა - ეს ის საკითხებია, რომლებზეც შესაძლებელია, ოპოზიციამ მოლაპარაკება გამართოს ხელისუფლებასთან."**

დღეს ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში დენის კიფმა ოპოზიციისა და ხელი-სუფლებას დიალოგისკენ მოუწოდა. ოპოზიციასთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ დიპლომატმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან მოისმინა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის შეხვედრები. **"ჩვენ მოვიმინეთ პრეზიდენტთან გამართული დიალოგის შესახებ ოპოზიციისა და ხელისუფლების მოსაზრებები. მოუწოდებთ მხარე-**

**მადგენელი,"** - აღნიშნა შეხვედრის დასრულების შემდეგ კონსერვატორმა კახა კუკავამ. როგორც კუკავამ შურნალისტებს განუცხადა, საუბარი იმ წინაპირობებსაც შეეხო, რომლებიც საქართველოში დემოკრატიულ რეფორმებს უნდა დაედოს საფუძვლად. კუკავას თქმით, ეს არის თავისუფალი მედია, პოლიციის და სასამართლოს რეფორმირება და სხვა საკითხები. დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ საქართველომ ამერიკიდან უნდა მიიღოს ფინანსური დახმარება, ოღონდ იმ პირობით, თუ ის მართლაც ხალხს და დემოკრატიულ პროცესებს მოხმარდება და არა რეჟიმის განმტკიცებას. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ამ დახმარებებს სწორედ დენ როზენბლუმში უნეს კოორდინაციას და ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია, მან იცოდეს, თუ რა ხდება რეალურად საქართველოში.

საკუთარი ინფორმაცია







# თანასწორი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულებისთვის

უზენაესი სასამართლოს პრესამსახურის ინფორმაციით, 2009 წლის პირველ სამ თვეში განხილული საქმეების ანალიზი იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ქართულ მართლმსაჯულებაში აქამდე არარსებული სტანდარტი - სტაბილურობა მკვიდრდება. ამ ტენდენციას უცხოელი ექსპერტებიც აღიარებენ. სასამართლოს საქმიანობის ყოველდღიურობა ციფრებში ასე აისახება.

## დაპატიმრება და გირაო

უზენაესი სასამართლოს მონაცემებით, ალკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება თანდათან პოპულარული ხდება, რითაც ქართული მართლმსაჯულება ცივილიზებული ქვეყნების სტანდარტს უახლოვდება.

2009 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, 2008 წელს არსებული ტენდენცია, შეიძლება ითქვას, რომ გაუმჯობესებულია. მიმდინარე წელს ალკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება გამოიყენეს 2039 პირის მიმართ, ხოლო არასაპატიმრო ღონისძიება 2362 პირს შეეფარდა, მათ შორის გირაო 2309 პირს.

პროცენტებში ასახული ეს ციფრები კი ასე გამოიყურება: დაპატიმრება 46,3 პროცენტით, არასაპატიმრო ღონისძიება 53,7 პროცენტით (არასაპატიმრო ღონისძიებებში კი გირაოს პროცენტული მაჩვენებელი 97,8 პროცენტითა).

შარშან იგივე პერიოდში ეს მაჩვენებელი შემდეგნაირად გადაინაწილა - 53,8 პროცენტით დაპატიმრებაზე, ხოლო 46,2 პროცენტით არასაპატიმრო ღონისძიებაზე მოდიოდა. შარშანდელთან შედარებით სასამართლოში არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელი 7,5 პროცენტით გაიზარდა.



## პირობითი მსჯავრის რაოდენობამ სამ თვეში 2000 გადააჭარბა

2009 წლის სამი თვის მონაცემებით, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ 364 (530 პირის მიმართ) საკასაციო საჩივარი განიხილა, მათ შორის არსებითი განიხილვის რეჟიმში პროკურატურის მხოლოდ 17 საკასაციო საჩივარი იქნა დაშვებული და აქედან მხოლოდ 2 საქმეზე (ორი პირის მიმართ) დაკმაყოფილდა სარჩელი.

რაც შეეხება გამამართლებელ განაჩენებს. მიმდინარე წლის სამი თვის მონაცემებით, უზენაესმა სასამართლომ 3 საქმეზე (3 პირის მიმართ) შეწყვიტა საქმე და ისინი სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა. პირველი ინსტანციის სასამართლოებმა კი სრულად გამამართლებელი განაჩენი დაადგინეს 5 საქმეზე (6 პირის მიმართ), ხოლო ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 19 საქმეზე (24 პირის მიმართ) დადგა. ასევე საგულისხმოა სასამართლოების მიერ შეწყვეტილი საქმეების სტატისტიკა. სამი თვის მანძილზე, პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 46 საქმე (52 პირის მიმართ) შეწყვიტეს.

მეორე ინსტანციის სასამართლოებმა საქმეების 38,3 პროცენტი მსჯავრდებულისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებით დაასრულეს. ეს მონაცემი კი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7 პროცენტითაა გაზრდილი.

ასევე საინტერესოა მონაცემები პირობითი მსჯავრთან დაკავშირებით. მიმდინარე წლის 3



თვეში სასამართლოებმა სასჯელის სახედ პირობითი მსჯავრი 2206 პირის (1856 საქმეზე) მიმართ გამოიყენეს.

ზოგადად კი, არასაპატიმრო სასჯელის (პირობითი მსჯავრი, ჯარიმა და ა.შ.) გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი 56,5 პროცენტითა.

## ადმინისტრაციული დავები

2009 წლის პირველი კვარტალი უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემდეგი მონაცემებით დაამთავრა: სულ უზენაეს სასამართლოში განსახილველად შევიდა 447 საკასაციო საჩივარი, აქედან 243 საჩივარი ადმინისტრაციულმა ორგანომ, ხოლო 190 საჩივარი კერძო და იურიდიულმა პირებმა შემოიტანეს. 13 საქმეზე საჩივარი ორივე მხარემ შეიტანა.

რაც შეეხება შედეგებს - 201 საქმე ადმინისტრაციული ორგანოს, 216 საქმე კერძო და იურიდიული პირების სასარგებლოდ, 1 მორიგებით დასრულდა, ხოლო 29 დაბრუნდა. ასეთია უზენაესი სასამართლოს სამი თვის სტატისტიკა იმ დავებზე, სადაც ერთ მხარეს სახელმწიფო, ხოლო მეორე მხარეს ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები დგანან.

დაბრუნებული 29 საქმიდან დავა კერძო და იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულდა თანაფარდობით 16 საქმე მოქალაქის, ხოლო 13 საქმე - ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ.

## საგადასახადო დავები

ადმინისტრაციული დავების კატეგორია შეიცავს საგადასახადო დავებსაც. იგივე პერიოდში მონაცემებით, უზენაესი სასამართლოს მიერ საგადასახადო დავებზე განხილულია სულ 103

საკასაციო საჩივარი, მათ შორის საგადასახადო ორგანოების მიერ შეტანილია 75 საჩივარი, ხოლო ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ 26 საჩივარი, 2 საქმეზე საჩივარი შეტანილია ორივე მხარის მიერ.

უზენაესი სასამართლოს შესაბამისმა პალატამ მხოლოდ 24 საქმე დაამთავრა საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ, 72 საქმე კი ფიზიკური და იურიდიული პირების მოვებით დასრულდა.

7 საქმე ხელახალი განხილვისთვის სააპელაციო ინსტანციაში დაბრუნდა, თუმცა არსებული თანაფარდობა არც ხელახალი განხილვის დროს დარღვეულა. სააპელაციო პალატამაც განხილვა ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დაამთავრა, 3 საქმე საგადასახადო ორგანომ, ხოლო 4 საქმე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა მოიგეს.

ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დაასრულა სამი თვე სააპელაციო სასამართლოებმა. 22 საქმე საგადასახადო ორგანოს, ხოლო 42 საქმე ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ, - ასეთია თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მონაცემები საგადასახადო კატეგორიის საქმეებზე.

2009 წლის სამი თვის მონაცემებით, ყველაზე მეტი საგადასახადო დავა მხარეებს შორის 50 000 ლარის ოდენობის თანხის გამო დაიწყო, სადაც სასამართლომ 32 საქმე ფიზიკური და იურიდიული პირების, ხოლო 6 საქმე საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ გადაწყვიტა. უზენაესმა სასამართლომ 100 000 დან 500 000-მდე ლარის ფარგლებში საგადასახადო დავებზე მხოლოდ 3 საკასაციო საჩივარი განიხილა აქედან 1 დავა საგადასახადო

ორგანოს, ხოლო 2 საქმე ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დაასრულა.

მილიონს ზემოთ უზენაესმა სასამართლომ მხოლოდ ერთი საქმე განიხილა და აღნიშნული საქმე იურიდიული პირის სასარგებლოდ დაასრულა.

## საპროცესო შეთანხმება

მიმდინარე წელს საგრძობლად იმატა საპროცესო შეთანხმებების რაოდენობამაც.

თუ 2009 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში განაჩენი საპროცესო შეთანხმებით 2196 საქმეზე (2695 პირის მიმართ) იქნა გამოტანილი, 2008 წლის იმავე პერიოდთან მიმართებაში საპროცესო შეთანხმებების მაჩვენებელმა 8,8 პროცენტით მოიმატა.

საპროცესო შეთანხმება გამოძიებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი ცივილური და დემოკრატიული ქვეყნებში აღიარებული ფორმაა.

2008 წლის 1 კვარტლის მონაცემებით, საპროცესო შეთანხმებების წილი დამდგარ განაჩენთა საერთო მოცულობაში 51,1 პროცენტი იყო, ხოლო 2009 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 56,5 პროცენტით გახდა.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან ირკვევა, რომ სასამართლოებმა საპროცესო შეთანხმებით 2009 წლის სამი თვის მანძილზე სულ 2196 განაჩენი დაადგინეს, აქედან კი 1152 საქმეზე საპროცესო შეთანხმებამდ მხარეები სასამართლო განხილვის დროს მივიდნენ, ანუ საქმე სასამართლოში არსებითად განიხილებოდა და მხარეებმა გადაწყვეტეს, რომ მათთვის უმჯობესი იყო საპროცესო შეთანხმება დაედო.

და ბოლოს, განხილული საქმეების საერთო სტატისტიკა.

2009 წლის მარტის ჩათვლით პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 3965 სისხლის სამართლის საქმე (4666 პირის მიმართ) განიხილეს, მათ შორის განაჩენი დადგა 3889 საქმეზე (4576 პირის მიმართ).

იგივე მონაცემები სამოქალაქო საქმეებზე ასეთია: პირველი ინსტანციის სასამართლოებმა იმავე პერიოდში 4569 საქმე განიხილეს, გადაწყვეტილების გამოტანით კი, 3387 საქმე დასრულდა. 1790 განხილული საქმე და 1375 საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, - ასეთია პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილული ადმინისტრაციული საქმეების სტატისტიკა.

ამ მოცულობის საქმეებს კი, პირველი ინსტანციის 209 მოსამართლე იხილავს.

## პირობითი მსჯავრდებულები საჭირო პროფესიებს დაეუფლებიან

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის სამეგრელოსა და ზემო სვანეთის პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფი პირობითი მსჯავრდებულები პროფესიული გადამზადების კურსს ფოთის სახელობო სასწავლებელ "ვერაზიაში" გაივლიან. ფოთის პრობაციის ოფიცრის ლევან დარასელიასა და სასწავლებლის დირექციას შორის შემდგარი მოლაპარაკების შედეგად გადაწყვიტა, რომ სასწავლებელში მისაღებ თითოეულ ახალ კურსზე ჩაირიცხება ერთი პირობითი მსჯავრდებული.

აღნიშნული ღონისძიებით სასწავლებელ ვერაზიაში უკვე ჩარიცხა პრობაციის ბიუროს მიერ რეკომენდებული პირობითი მსჯავრდებული მამუკა ქრომელსაც არასრული სამუშაო განათლება აქვს მიღებული და მონადირეული იყო შესწავლა ხელობა. მას შესაძლებლობა აქვს, სასწავლებელში დაეუფლოს საზღვაო აგენტის, ელექტრიკოსის, მენეჯერის და სხვა ისეთ სპეციალობებს, რომელსაც საპროცესო ქალაქში გამოყენების რეალური პერსპექტივა აქვს.

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახური მსჯავრდებულ პირთა კონტროლთან ერთად, შეძლებისდაგვარად მათი სოციალური დახმარების ფუნქციასაც ასრულებს. პრობაციის ოფიცრები მსჯავრდებულთა დასაქმებასა და რესოციალიზაციის პროცესში დახმარების განწევას სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან კონსტრუქციული თანამშრომლობის გზით ახერხებენ.

ჯი-ეი-ენი

## ომბუდსმენი ჰელსინკის უნივერსიტეტის მიწვევით ფინეთში იმყოფება

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ჰელსინკის უნივერსიტეტის მიწვევით ორდღიანი ვიზიტით ფინეთში იმყოფება.

როგორც სახალხო დამცველის აპარატი აცხადებენ, 14-15 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი და სომხეთის ომბუდსმენი არმენ ჰარუთინიანი მონაწილეობას მიიღებენ სემინარში "საქართველო და სომხეთი - როგორ გამოიყურება ტრანსფორმაცია დემოკრატიის მიმართულებით დღეს".

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველი ფინეთის საპარლამენტო ომბუდსმენს და საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდება. სოზარ სუბარი ასევე მონაწილეობას მიიღებს ჰელსინკის უნივერსიტეტის ალექსანტერის ინსტიტუტში დაგეგმილ მრგვალ მაგიდაში.

პირველი

## ნუგზარ ოთანაძეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

ძებნილი კობა ოთანაძის ძმას ნუგზარ ოთანაძეს სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ დახურულ რეჟიმში გაიმართა.

ნუგზარ ოთანაძე 12 მაისს დააკავეს. მას პოლიციისათვის წინააღმდეგობის განწევა ედება ბრალად. მუხროვანის სამხედრო ნაწილში მომხდარი ამბოხების ერთ-ერთ ორგანიზატორს კობა ოთანაძეს პოლიცია დღემდე ეძებს. მისი ადგილსამყოფელის შესახებ ძალოვანი უწყებისათვის ინფორმაციის მინოდებისათვის შსს-მ ჯილდოდ 200 ათასი ლარი დაანესა.

პირველი

## გარდაიცვალა



საქ. რესპუბლიკის დამსახურებული გეოლოგი, საბჭოთა კავშირის მნიშვნელობის ნიაღვრის საპატიო მაძიებელი, მადნეულის ოქროს და ტყიბულის-შაორის ნახშირის საბადოების პირველადმოძიებელი, ლირსების ორდენის კავალერი და საპატიო ნიშნის ორდენოსანი

## შოთა მიხეილის ძე გავაშვილი

პანაშვიდი: 15, 16 მაისს, 17 საათზე; გამოსვენება: 17 მაისს, 14 საათზე; მისამართი: კეკელიძის ქ. №8, ბ. 15.



### მონიტორინგი სასჯელსრულების დანეშეულებებში

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი სასჯელსრულების დანეშეულებებში პირობების გამოსწორებას ითხოვს. შესაბამისი რეკომენდაციით მან უკვე მიმართა სასჯელსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების სკიოთხთა მინისტრს დიმიტრი შაშკინს. "2009 წლის მარტის თვეში სახალხო დამცველის რწმუნებულმა სასჯელსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპრობილე შეამოწმა. საპრობილე 750 პატიმარზეა გათვლილი, თუმცა მონიტორინგისას მასში 955 მსჯავრდებული იყო განთავსებული. საპრობილეს არ აქვს საშხაპე ოთახი და პატიმრები საპირფარეოებში დამონტაჟებული წყლის ელექტროგამათბობლით იღებენ შხაპს. პოლიტიკოსების პარკებით არის დაფარული ყველა საკნის ფანჯარა, ვინაიდან არ არის ჩასმული მინები და ჭერზეც პოლიტიკოსების პარკებია გაკრული ბათქაშის ცვენის შესაჩერებლად. მსჯავრდებულთა განმარტებით, ხშირია შემთხვევები, როცა ჯანმრთელი და ტუბერკულოზით დაავადებული მსჯავრდებულები ერთად არიან საკანში," - განმარტავს სახალხო დამცველი. სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ საკანებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის გათვალისწინებით, მსჯავრდებულთა იქ ყოფნა შეიძლება, შეფასდეს, როგორც არაადამიანური მოპყრობა. სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, მიმდინარე წლის თებერვალში ომბუდსმენის რწმუნებულებმა სასჯელსრულების დეპარტამენტის ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის დანეშეულებებშიც ჩატარეს მონიტორინგი. დანეშეულება 1600 პატიმარზეა დათვლილი, მონიტორინგისას კი მასში 2176 მსჯავრდებული იყო განთავსებული. "მსჯავრდებულთა განმარტებით, ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ უხეშად და დამამცირებლად ექცევიან. მსჯავრდებულების ნაწილი განთავსებულია სასადილოს ყოფილ შენობაში, სადაც საცხოვრებელი სადგომები გამოყოფილია ერთმანეთისგან ლურჯი ბრეზენტით და მსჯავრდებულების მიერ გაკეთებული ორსართულიანი საწოლებით. დანეშეულების ტერიტორიაზე განთავსებულ საერთო საპირფარეოში გაუმართავია საკანალიზაციო სისტემა, რის გამოც მიმდებარე ტერიტორიაზე სპეციფიკური სუნი დგას," - აღნიშნულია სოზარ სუბარის განცხადებაში.

დანეშეულებებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობის გამო სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სკიოთხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინს და მოთხოვა, თითოეული პატიმარი პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ფართით უზრუნველყოს.

პირველი

### ვანო ლომიძე პატიმრობის გირაოთი შეცვლას ითხოვს

შს კახეთის მთავარი სამხარეო სამმართველოს მიერ 2009 წლის 29 აპრილს თაღლითობის ბრალდებით დაკავებული რესპუბლიკური პარტიის წევრი და აღიანის საქართველოსთვის" ყვარლის რაიონული შტაბის უფროსი ვანო ლომიძე აღკვეთის ღონისძიების შეცვლას ითხოვს.

ლომიძის ადვოკატი აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით ყვარლის რაიონულ სასამართლოს დღეს მიმართავს. ადვოკატის განცხადებით, პატიმრობის პერიოდში დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლას ამიტომ სთხოვენ. ლომიძე სასამართლოს გირაოს შეფარდებას სთხოვს და გირაოს სახით 5 ათასი ლარის გადახდაზეა თანახმა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ვანო ლომიძემ გამოიძიება აღიარებითი ჩვენება მისცა, სადაც ის აცხადებს, რომ საკუთარი ავტომანქანა პიარის მიზნით დანვა.

მედიანუსი

### განცხადება ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ


სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, ქიმიური რეაქტივების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს სამაია, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება თანხაზე - 138 604 ლარი.

## ვესტსაიდელი მანიაკი დააკავეს

ამერიკის კრიმინალისტიკის ისტორიაში მომხდარი ყველაზე მძიმე დანაშაული 30 წლის შემდეგ გაიხსნა. ამერიკელმა სამართალდამცველებმა დააკავეს 72 წლის შავკანიანი ჯონ ფლოიდ ტომას-უმცროსი, რომელიც ვესტსაიდელი მანიაკის სახელითაა ცნობილი. იგი ექვმიტანილია სერიულ დანაშაულში - 30 ქალის გაუპატიურებასა და მკვლელობაში.

გამოიძიება ვარაუდობს, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მომხდარი სერიულ ძალადობის შემსრულებელი სწორედ ის უნდა იყოს. ჯერჯერობით, დნმ-ის ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ ტომასმა ჩაიდინა 5 მკვლელობა, მანამდე კი, 5-ვე მსხვერპლი გაუპატიურა. თუმცა, ვესტსაიდელ მანიაკს ჯერჯერობით მხოლოდ ორ ეპიზოდში აქვს ნაყენებული ბრალდება. 1972 წელს მომხდარი დანაშაულში - 68 წლის ესტელ სოკოლოვის გაუპატიურება-მკვლელობაში და 1976 წელს ელიზაბეტ მაკკიუენის მკვლელობა-გაუპატიურებაში.

არადა, გამოიძიება თითქმის დარწმუნებულია, რომ დანარჩენი 25 ქალიც ვესტსაიდელმა მანიაკმა მოკლა. სერიული მკვლელობები - თავდასხმები ქალებზე ერთი და იგივე სცენარით მოხდა - მანიაკი იპარებოდა მარტოხელა ქალების სახლში, აუპატიურებდა მათ და ბალიშით გუდავდა.



ნიაკმა მოკლა. სერიული მკვლელობები - თავდასხმები ქალებზე ერთი და იგივე სცენარით მოხდა - მანიაკი იპარებოდა მარტოხელა ქალების სახლში, აუპატიურებდა მათ და ბალიშით გუდავდა.

წლებში ლოს ანჯელესმა სერიული მკვლელობებისა და გაუპატიურების ორი ეტაპი გაიარა - 1978 და 1983 წელს. გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ 5-წლიანი პაუზა ჯონ ფლოიდ ტომას-უმცროსის პატიმრობით აიხსნება, როცა იგი სასჯელს იხდიდა

გასული საუკუნის 70-80-იან

## უდანაშაულოთა გამართლება

ბრიტანულმა სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო და 27-წლიანი პატიმრობის თავზე გაათავისუფლა მკვლელობისა და გაუპატიურებისთვის გასამართლებული შონ ხოდესონი, რომელსაც, თავის დროზე, მართლმსაჯულებამ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. საქმე ისაა, რომ 27 წლის შემდეგ, თანამედროვე მეთოდებით ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ მძიმე დანაშაულები, რომლისთვისაც შონ ხოდესონი გაასამართლეს, მას არ ჩაუდენია. მისი უდანაშაულობის დადგენა დნმ-ს ექსპერტიზის საშუალებით გახდა შესაძლებელი.

შონ ხოდესონის საქმის გამოძიებისას, სამი ათეული წლის წინ, გამოძიებლებმა საკმარის მტკიცებულებად ჩათვალეს ექვმიტანილის სისხლის ჯგუფი, რომელიც მოკვლის ავტომანქანაში აღმოჩენილი სისხლის ჯგუფს დაემთხვა. მაშინ მართლმსაჯულებისთვისაც სისხლის ჯგუფის ეს დამთხვევა აღმოჩნდა გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი. გარდა ამისა, მძიმე ფსიქიკურ მდგომარეობაში მყოფმა შონ ხოდესონმა ნაყენებული ბრალდება - 22 წლის გოგონას ტერეზა სიმონის გაუპატიურება და მკვლელობა თავადაც აღიარა. მაშინ ექსპერტიზამ დაადგინა, რომ გოგონა თავისივე ოქროს ჯაჭვით იყო გაგუდული, რომელიც ყელზე ეკეთა.

საქმის სასამართლო გამოძიებისას შონ ხოდესონის ადვოკატები ყველანაირად ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ მართლმსაჯულებისთვის, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პათოლოგიურად იტყუებოდა და ამის მიზეზი სწორედ მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა იყო.

სხვათა შორის, სასამართლო პროცესების მსვლელობისას, შონ ხოდესონი ირწმუნებოდა, რომ გარდა მკვლელობისა, ჩადენილი ჰქონდა ყაჩაღობებიც და



შონ ხოდესონი ბრიტანეთის სასამართლომ 27-წლიანი პატიმრობის თავზე უდანაშაულოდ ცნო.

ქურდობებიც. არადა, მაშინვე გაირკვა, რომ ფაქტები, რომლებზეც განსასჯელი მიუთითებდა, საერთოდ არ მომხდარა და ის შონ ხოდესონის ფანტაზიის ნაყოფი იყო. განსასჯელის ინტერესების დამცველები სთხოვედნენ სასამართლოს არ გაეთვალისწინებინათ შონ ხოდესონის ტყუილები. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია განსასჯელის გამოწვევებს და გაუპატიურებისა და მკვლელობისთვის მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ახლგაზრდა გოგონას გაუპატიურებასა და მკვლელობაში სხვა ექვმიტანილი გამოიძიება არ ჰყავდა. მართალია, მოკვლევი გოგონას ავტომანქანაში აღმოჩენილი სპერმის ანალიზი მაშინ არ ჩატარებულა, თუმცა, აღმოჩენილი მტკიცებულება საქმეში მაინც დარჩა. სწორედ ეს მტკიცებულება დაეხმარა შონ ხოდესონს, მომხდარი დანაშაულიდან 27 წლის შემდეგ. ის ამჟამად 57 წლისაა. ცხოვრების ნახევარი კი საპატიმროში ტყუილად გაატარა.

როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, დანაშაულის გამოძიება, რომელიც 30 წლის წინ მოხდა, განახლებდა და ნამდვილი დანაშაულის საძებნელად ყველაფერი გაკეთდა.

თანამედროვე მეთოდებით ჩატარებულმა დნმ-ს ექსპერტიზამ შონ ხოდესონს არა მარტო თავისუფლება, არამედ იმის უფლებაც მისცა, რომ მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის კომპენსაცია მოითხოვოს.

როგორც უცხოური პრესა წერს, შონ ხოდესონის შემთხვევა, ბრიტანული მართლმსაჯულებისთვის ერთადერთი არ გახლავთ. რამდენიმე ათეული წლების წინ, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა დნმ-ს ანალიზის ჩატარების შესაძლებლობა, მართლმსაჯულების შეცდომას ასობით ადამიანი შეენირა.

მაგალითად, 1953 წელს სიკვდილით დასაჯეს 19 წლის დერეკ ბენტლი, რომელსაც გამოიძიება პოლიციის მკვლელობას ედავებოდა. მართლმსაჯულებამ ამ შემთხვევაში მთავარ მტკიცებულებად განსასჯელის სისხლის ჯგუფი ჩათვალა, რომელიც მკვლელის სისხლის ჯგუფს ემ-

ქურდობისა და სექსუალური ძალადობისთვის.

ტომასმა ციხეში საერთო ჯამში 12 წელი გაატარა, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ბრალდებით იყო გასამართლებული.

ვესტსაიდელ მანიაკი დუმილის უფლებას იყენებს, თუმცა დაკავებისას განაცხადა, რომ მას ქალებზე შურისძიება ახლაც სურს.

პოლიციას სასტიკი დამნაშავეის დაკავებისთვის 30 წელი დასჭირდა, რადგანაც, როგორც გამოიძიება აცხადებს, მანიაკმა 27 მსხვერპლი სიცოცხლეს გამოასალმა, ცოცხლად გადარჩენილმა 3 ქალმა კი, გამოიძიება ვერც მანიაკის გარეგნობა აღუწერა და გამოიძიებისთვის მნიშვნელოვანი სხვა დეტალის გახსენებაც ვერ შეძლეს, რადგანაც, შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. წლების შემდეგ საქმის გახსნა დნმ ანალიზის შედეგის საფუძველზე მოხდა.

ამჯერად, ტომასისთვის ნაყენებული ბრალდება სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს, ამინსტიისა და ვადამდე პატიმრობიდან გათავისუფლების გარეშე.

თხვეოდა. პოლიციის მკვლელობასთან დერეკ ბენტლის კავშირი რომ არ ჰქონია და ის ტყუილად დასაჯეს სიკვდილით, მხოლოდ 1998 წელს გახდა ცნობილი.

1950 წელს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე სიკვდილით დასაჯეს 25 წლის ტიმოთი ევანსი, რომელიც საკუთარი მეუღლისა და ერთი წლის შვილის მკვლელობისთვის გაასამართლეს. განაჩენის აღსრულებიდან სამი წლის შემდეგ დააკავეს და გაასამართლეს ტიმოთი ევანსის მეზობელი, რომელსაც რვა ქალის მკვლელობა ედებოდა ბრალად. დადგინდა ისიც რომ ტიმოთი ევანსის მეუღლე და შვილიც სწორედ მან გამოასალმა სიცოცხლეს.

იმათ შორის, ვინც სიკვდილით არ დასაჯეს და მართლმსაჯულების შეცდომის გამო უმრავი წელი ციხეში ტყუილად გაატარა, არის მაიკლ ბილიც, რომელსაც სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის მიუსაჯა. ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ წლების შემდეგ დაამტკიცა, რომ მაიკლ ბილიც ნარდგენილ ბრალდებაში აბსოლუტურად უდანაშაულო იყო და ის გაამართლა კიდევ, თუმცა, ბილიცი ციხიდან ვერ გამოვიდა, რადგან ვიდრე გამამართლებელი გაჩენი ძალაში შევიდოდა, ის ავადმყოფობისა და მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო ციხეში გარდაიცვალა.

რაც შეეხება სტივენ დაუნინგს. მან ციხის კედლებში 27 წელი იმ დანაშაულისთვის გაატარა, რომელიც, როგორც წლების შემდეგ გაირკვა, არ ჩაუდენია. თავისუფლება სტივენ დაუნინგმაც გვიან ჩატარებული დნმ-ს ანალიზის შედეგად მოიპოვა. მთლიანობაში, პატიმრების ჩამონათვალი, რომლებიც ბრიტანული მართლმსაჯულების შეცდომის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ, ასამდე ადამიანს ითვლის.



# ნატო ყაზახეთს ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობას სთავაზობს

## მარიკა იახვილი

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ყაზახეთი ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია. ნატო-ში ამტკიცებენ, რომ შესაბამისი დოკუმენტები უკვე გადაცემულია, თუმცა ასტანა მიღებულ წინადადებაზე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს და უფრო მეტიც - მიწვევის მიღების ფაქტს საერთოდ არ ადასტურებს.

**“საბოლოო გადაწყვეტილებას, გაუშვას თუ არა მშვიდობისმყოფელები ავღანეთში, თავად ყაზახეთი მიიღებს,”** - განაცხადა ნატო-ს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რობერტ სიმონსმა. თუმცა მან აღნიშნა, რომ ყაზახეთის არმია ნატო-ს ჯარებთან ოპერატიული შეთავსებულობის დონეს უკვე მიაღწია და ავღანეთის მისიაში თავის გამოჩენას წარმატებით შეძლებს.

ყაზახეთი კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრია, თუმცა ეს ორგანიზაცია არ წყვეტს, საით იქნება მიმართული მისი წევრი სახელმწიფოების სამხედრო კონტინგენტი. მიუხედავად ამისა, კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის წარმომადგენლებს ეჭვი ეპარებათ, რომ ასტანა თავის ჯარს ავღანეთში გაგზავნის. რაიმე სახის სამხედრო კოალიციაში განწევრიანებამდე ან შესაბამისი შეთანხმების გაფორმებამდე ქვეყნებმა კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის



ყაზახეთის არმია ნატო-ს ჯარებთან ოპერატიული შეთავსებულობის დონეს უკვე მიაღწია

წევრ სახელმწიფოებთან კონსულტაცია უნდა გაიაროს. ასეთი კონსულტაციები კი ასტანას არ გაუმართავს.

ის, რომ ყაზახეთის არმია ნატო-ს სტანდარტებს სრულად შეესაბამება, დიდი ხანია, საიდუმლო აღარ არის. ქვეყნის შეიარაღებული ძალები მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. არმიის ოფიცრებმა შესაბამისი განათლება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში მიიღეს, ხოლო დამოუკიდებ-

ლობის მოპოვების შემდეგ აშშ-ში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, იტალიასა და თურქეთში სწავლობდნენ.

ყაზახეთისთვის საერთაშორისო ძალებთან ერთად თალიბების წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან სამშვიდობო ოპერაციის ჩავარდნის შემთხვევაში, თალიბებმა შესაძლოა, ჩრდილოეთის მიმართულებით გადაადგილება მოინდომონ, ისევე როგორც ეს გასული საუკუნის დასასრულს გააკეთეს.

ყაზახეთის ინტერესებში შედის, რომ ტერორისტები არსებულ საზღვრებში დარჩნენ ან საფრთხის სრული ლიკვიდაცია მოხდეს - მათ შორის ნარკოტიკების გავრცელებისა და არაკანონიერი მიგრაციის საფრთხისაც. ყველაფერი ეს რუსეთის ინტერესებშიც შედის.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ყაზახეთმა ქაბულს ავღანეთის აღსადგენად 2.5 მილიონი დოლარის ოდენობის ფინანსური დახმარება აღმოუჩინა. იგი ასევე მზად არის, პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაისთვის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალისტები და არმიის ოფიცრები გადაამზადოს. თუმცა ნატო-ს ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად სამხედრო ძალების გაგზავნის გეგმის შესახებ ქვეყნის ხელისუფლებას არასდროს არაფერი უთქვამს.

ამავდროულად, ნატო-ს დანაკარგმა ავღანეთში უკვე დიდი ხანია, 1 000 ადამიანს გადააჭარბა და ციფრი მუდმივად იზრდება. მიუხედავად ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების განცხადების, რომ მზად არიან, ვაშინგტონის თხოვნით ავღანეთში დამატებითი ძალები გაგზავნონ, რეალურად ამის გაკეთებას არ ჩქარობენ.

ამგვარად, ავღანეთის აღდგენის სამშვიდო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად ყაზახეთის მიწვევა “მკერდით ამბრაზურაზე გადაფარების” თხოვნას ჰგავს. აქედან გამომდინარე, სასწრაფო შესაძლებელია, რომ ყაზახეთმა ამ ოპერაციაზე ისევე თქვას უარი, როგორც ეს საქართველოში დაგეგმილ წვრთნებში მონაწილეობის შემთხვევაში გააკეთა.

## ეგვიპტე რუსულ ხორბალზე უარს ამბობს

ეგვიპტეში რუსული ხორბლის იმპორტი აიკრძალა. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, პროდუქტი არ შეესაბამება ხარისხის სტანდარტებს. ეგვიპტეში კარანტინი 52,5 ათას ტონა რუსულ ხორბალს დაედო. “რუსულ ხორბალში მკვდარი მწერებია აღმოჩენილი და ეს ყოველგვარ სტანდარტებს სცილდება,” - განაცხადა ეგვიპტის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა. მისივე თქმით, რუსული ხორბალი მთლიანად შენახულია და იქიდან მკვდარი ტონა უკვე გაგზავნილია გასასუფთავებლად. სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით, კარანტინი არ არის მიმართული რუსეთის წინააღმდეგ და თუ საჭირო გახდება, აღნიშნული ზომები სხვა ქვეყნების წინააღმდეგაც განხორციელდება. თავის მხრივ, რუსეთი ეგვიპტის მხრიდან რუსულ ხორბალზე კარანტინის დადებას მასზე ფასის ხელშეწყობად შეეცდებიან მცდელობად აფასებს. “ყველა ბურღულეული, რომელსაც ჩვენ ვაგზავნით, შეესაბამება კონტრაქტში განვირულ მოთხოვნებს. საქმე არა ხარისხი, არამედ ფასებზე თამაშის მცდელობა,” - განაცხადა რუსეთის მარცვლეულობის კავშირის ხელმძღვანელმა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში რუსეთი ეგვიპტისთვის ხორბლის მთავარი მიმწოდებელი გახდა. მანამდე ეგვიპტეს აღნიშნული პროდუქტით უკრაინა ამარაგებდა.

მედიაინფო

## ათენის აეროპორტში 168 ავიარეისი გადაიდო

საბერძნეთში ავიადისპეტრების გაფიცვის გამო შეწყვეტილია საჰაერო კავშირი. ამავ მიზეზით ათენის აეროპორტში 168 ავიარეისი გადაიდო. ავიაკომპანია “ოლიმპიკ ეარლაინსმა” 55 შიდა და 3 საზღვარგარეთული ფრენა გადადო, კომპანია “ეგეის ავიაზაზრებმა” კი - 60. გაფიცვა საბერძნეთის ყველა აეროპორტში 4 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროტესტის ამ ფორმაში არა მარტო აეროპორტის თანამშრომლები, არამედ სამინისტროების, სახელმწიფო უწყებების და ასევე საავადმყოფოების მუშაკებიც მონაწილეობდნენ. გაფიცულები პენსიებისა და ხელფასების გაზრდას, ასევე დროებითი შრომითი ხელშეკრულებების გაუქმებას ითხოვენ.

მედიაინფო

## ქალაქის მთავარი ქუჩები ბრაზილიაშიც გადაკეტეს

ბრაზილიაში, სან-პაულუს გარეუბნების მცხოვრებლებმა ქალაქის მთავარი გზები გადაკეტეს და ავტობუსს, მიკროავტობუსსა და სატვირთო მანქანას ცეცხლი წაუკიდეს. აქციის მონაწილეები ამ გზით ადგილობრივი პოლიციის ქმედებებს აპროტესტებენ, რომელმაც ამ კვირაში ნარკოტიკებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი ახალგაზრდების ჯგუფი დააკავა. ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, აქციის გამო მომხდარი არეულობის შედეგად ავტობუსის მგზავრი და ორი პოლიციელი დაშავდნენ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი საპროტესტო აქციები ბრაზილიისა და სამხრეთ ამერიკის ქალაქებისათვის უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მოსახლეობის პროტესტს უმეტეს შემთხვევებში სამართალდამცავების მიერ ქალაქის კრიმინალური ავტორიტეტების დაკავება იწვევს.

მედიაინფო

## განცხადება ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, ნარკოლოგიური ტესტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში ლოტი №1-ის მიხედვით (იმუნოქრომული სტრიპ-ტესტები) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს “ეკონ ჯორჯია”, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება თანხაზე - 17 030 ლარი. ლოტი №2-ის მიხედვით (მყარ-ფაზური იმუნოქრომული ტესტები, თმის საკვლევი) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს “ექსპრესდიაგნოსტიკა”, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება თანხაზე - 73 147 ლარი. ლოტი №3-ის მიხედვით (5-თ არხიანი ჭიქა-ტესტი) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს “დელტამედი”, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება თანხაზე - 7 875 ლარი.

# ბაერო საზღვარო საზღვრებს დაადგენს

## ეს ბევრი ქვეყნის ინტერესებს შეეხება

გაერო-ს კომისია მუშაობს ახალი საზღვარო საზღვრების შეთანხმებაზე, რაც, სავარაუდოდ, ზოგიერთ ქვეყანას შორის დავას გამოიწვევს, კერძოდ ჩინეთსა და მის მეზობლებს, აგრეთვე ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის მიმდებარე ქვეყნებს შორის. პეკინი ამტკიცებს, რომ რიგი კუნძულები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ჩინეთის ტერიტორიის ნაწილია, მაგრამ რეგიონის სხვა ქვეყნებსაც აქვთ მათზე პრეტენზია.

ქვეყნებს, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი აქვთ, გაერო-ში 13 მაისამდე უნდა წარედგინათ დეკლარაციები იმის შესახებ, თუ როგორი ხედვა აქვთ მათ საკუთარ საზღვარო საზღვრებზე. ასეთი დოკუმენტი 48 ქვეყანამ წარადგინა და კიდევ რამდენიმე ათეულმა ქვეყანამ წინასწარი დეკლარაციები გაგზავნა.

**“ამ პროცესის დამთავრების შემდეგ ყველა საზღვარო საზღვარი მყარად უნდა დაფიქსირდეს... ეს მსოფლიო რუკის ბოლო სერიოზული გადახედვაა,”** - განაცხადა ჰარალდ ბრეკემ - გაერო-ს იმ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, რომელიც კონტინენტური შეღვის საზღვრებს არეგულირებს.

არსებული კანონების თანახმად, თითოეულ ქვეყანას უფლება აქვს, ისარგებლოს წყლის რესურსებით თავისი სანაპირო ზოლიდან 220 საზღვარო მილის (370 კილომეტრი) ფარგლებში. მაგრამ ზოგიერთ ქვეყანას უფრო დიდი ტერიტორიით სარგებლობის უფლება აქვს იმის საფუძველზე, რომ მათი კონტინენტური შეღვი ზღვაში შორს შედის. დღემდე საზღვარო სივრცის ზუსტი საზღვრები მსოფლიო თანამეგობრობას განსაზღვრული არ ჰქონია და არ არის დატანილი ოფიციალურ რუკებზე.

**“ბევრ დეკლარაციაში პრეტენზიები გამოცხადებულია ერთსა და იმავე ნაკვეთებზე,”** - განმარტა ბრეკემ. გაერო-ს კომისიის მუშაობის პროცესში გამოვლინდა ტერიტორიული დავები იაპონიასა და რუსეთს, დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას (ფოლკლენდის კუნძულების რაიონში) და სხვათა შორის.

რუსეთმა 2007 წელს სცადა, განეცხადებინა თავისი უფლებები ნავთობის, გაზისა და მინერალების მარაგზე, რომელიც ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ქვეშ თვით ჩრდილოეთ პოლუსამდე არის განლაგებული. ამ მიზნით საზღვარო ექსპედი-

ციამ ოკეანის ფსკერზე ზედ ჩრდილოეთ პოლუსზე დაამატა კაფსულა რუსეთის დროშისა და ტერიტორიაზე პრეტენზიას აცხადებს დანიაც (გრენლანდიასთან სიახლოვის გამო). საერთოდ, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანეში რამდენიმე სადავო მონაკვეთია, რომლებსაც დღემდე ვერ იყოფენ რუსეთი, ნორვეგია, დანია, კანადა და შეერთებული შტატები. ამერიკელი გეოლოგების კვლევების თანახმად, დედამიწის გამოუკვლეველი ენერგეტიკული რესურსების მეოთხედი ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეშია. გლობალური დათბობისა და ყინულის დნობის შემთხვევაში, ამ მარაგის გამოყენება გაადვილდება. დღეს ჩრდილოეთ პოლუსი და მისი მიმდებარე ტერიტორია საერთაშორისო ზონაა და მას მართავს საზღვაო ფსკერის საერთაშორისო ადმინისტრაცია, შტაბ-ბინით კინგსტონში (იამაიკა).

ყველაზე რთული პრობლემა იქნება საზღვრების დადგენა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ჩინეთის, ფილიპინების, ვიეტნამის, ტაივანის, ინდონეზიის და მალაიზიის ინტერესები. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ

მისი ქვეყნის განაცხადი სადავო კუნძულების მფლობელობაზე ეჭვგარეშეა და ეს ეხება იმასაც, რაც ზღვის ფსკერზეა. ამ ბოლო ფრაზას დიდი მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც სამხრეთ ჩინეთის ზღვაშიც, ისევე როგორც ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანესა და თუნდ იგივე ფოლკლენდის კუნძულების მიმდებარე ტერიტორიაზე, ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი საბადოებია. ჩინეთი ამ ბოლო დროს უფრო აქტიურად იცავს თავის ტერიტორიულ პრეტენზიებს ამ რაიონში. პეკინმა ოფიციალურად აცნობა გაერო-ს, რომ მათ არ უნდა განიხილონ ვიეტნამის ანალოგიური განაცხადი. **“ის ჩინეთის სუვერენიტეტის, უფლებებისა და იურისდიქციის უხეში დარღვევაა, ამიტომ ეს პრეტენზიები უკანონოა,”** - განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

მაგრამ სხვა ქვეყნები უკანდახევას არ აპირებენ. ეს კი ნიშნავს, რომ ამ განაცხადების განხილვის პროცესი საკმაოდ რთული და გრძელვადიანი იქნება.

“ზი-ბი-სი“-ს მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძემ



# სომალელი მკობრები რაკორდას აფარებენ

მარიკა იაზვილი

ადენის ყურესა და სომალის აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში მანისის დასაწყისამდე მომხდარმა თავდასხმებმა მთელი შარშანდელი წლის ანალოგიურ მარცხებებს გადააჭარბა, - ნათქვამია საერთაშორისო საზღვაო ბიუროს მეკობრეთა თავდასხმების მონიტორინგის ცენტრის დასკვნაში.

ცენტრის მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში მეკობრეებმა 114 თავდასხმა განახორციელეს, რომელთაგან 29 - გემის გატაცებით დასრულდა. მთელი გასული წლის განმავლობაში კი მეკობრეთა მოღვაწეობის ანალოგიური მარცხებები, შესაბამისად, 111 და 42 იყო.

ადენის ყურეში 2009 წელს მეკობრეებმა 71 თავდასხმა მოაწყვეს და შედეგად 17 გემი გაიტაცეს. გასულ წელს ამ რაიონში XXI საუკუნის ფლიბუსტერებთან შეჯახება 92 გემს მოუხდა, რომელთაგან 32 მათ ტყვეობაში აღმოჩნდა.

მეკობრეთა საქმიანობაში მნიშვნელოვანი პროგრესი ინდოეთის



AFP, 2009

ოკეანეში, სომალის აღმოსავლეთ სანაპიროსთანაც შეიმჩნევა: 43 თავდასხმა მთელი 2008 წლის განმავლობაში მომხდარი 19 შემთხვევის ნინაღმდეგ. გარდა ამისა, ძალიან გახშირდა აფრიკის კონტინენტის ამ ნაწილის სიახლოვეს მოძრავი გემების დაცხრილვის

ფაქტებიც. მიმდინარე წლის 5 თვის განმავლობაში ასეთი 54 შემთხვევა დაფიქსირდა.

ექსპერტთა მონაცემებით, სომალელ მეკობრეთა მიერ ადენის ყურესა და სომალის აღმოსავლეთ სანაპიროსთან გატაცებული ეკიპაჟების წევრთა რაოდენობამ მიმდი-

ნარე წლის განმავლობაში 478 ადამიანი შეადგინა, მაშინ როდესაც მთელი 2008 წლის განმავლობაში მათი რიცხვი 815 იყო.

საერთაშორისო საზღვაო ბიუროს დირექტორ პოტენშალ მუკუნდანის განცხადებით, გემების გატაცების ფაქტების რაოდენობის შემცირება შეიძლება იმით აიხსნას, რომ სახიფათო რაიონში მეკობრეთასთან ბრძოლის საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში მუდმივად პატრულირებენ სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები.

ამავდროულად, მიაჩნია დირექტორს, "განხორციელებული თავდასხმების რაოდენობა მონმობს, რომ მეკობრეთა დაჯგუფებები დიდად არ არიან შეწყვეტილები მათი იქ ყოფნით და თავდასხმათა რაოდენობას თავიანთი წარმატების პროცენტული მაჩვენებლის მიზნით ზრდიან."

ამ დროისათვის სომალელ მეკობრეთა ტყვეობაშია 17 გემი და 3000-მდე მძევალი. როგორც რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მოადგილე და ექსპერტი ალექსანდრ ზვიაგინცევი

აღნიშნავს, "ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მიუხედავად სომალისთან თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო-საზღვაო ფლოტილის განლაგებისა, ფაქტობრივად, ჩვენ ახლა მხოლოდ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის და ამ რეგიონში თავისუფალი ზღვაოსნობისა და ვაჭრობის პარალიზს ვაკვირდებით."

ზვიაგინცევის განცხადებით, 2008 წლის განმავლობაში მეკობრეებმა რეგიონში გამოსასყიდის სახით 120-150 მილიონი აშშ დოლარი მიიღეს, რამაც მათ საშუალება მისცა დიდი საფარო ხომალდების გასატაცებლად უფრო შესაფერისი საშუალებების შესაძენად.

სომალის ხელისუფლება, რომელმაც როგორც ერთიანმა სახელმწიფომ არსებობა 1991 წელს შეწყვიტა, მეკობრეთა პრობლემასთან გამკლავებას ვერ ახერხებს. ადენის ყურეში მეკობრეებთან ბრძოლას 15-ზე მეტი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალები აწარმოებენ. მათ შორის არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების, რუსეთის, ჩინეთის, იაპონიისა და აშშ-ს გემები.

# საქართველო თავდასხმა შრი-ლანკას საავადმყოფოში

მარიკა იაზვილი

შრი-ლანკას სავაჭრო პოსტში, რომელიც სამთავრობო ძალებისა და სეპარატისტების ბრძოლის ზონაშია განთავსებული, საჭაერო თავდასხმის მსხვერპლი 50-ზე მეტი ადამიანი გახდა.

ავადმყოფოში ექიმის განცხადებით, საავადმყოფოს ტერიტორიაზე ორი ბომბი აფეთქდა.

გახმაურებულ ციფრებს გაერო-შიც ეთანხმებიან და აცხადებენ, რომ შემთხვევის შედეგად, დაახლოებით, 100 ადამიანი დაიჭრა.

გარდა გავრცელებული ინფორმაციისა, სამთავრობო ძალების მიერ "უსაფრთხოების ზონად" გამოცხადებული ტერიტორიის დაბომბვას თანამგზავრიდან

გადაღებული ფოტოებიც ადასტურებს.

ავადმყოფოში ექიმების განცხადებით, ჰოსპიტალი თავდასხმების მსხვერპლი გასული რამდენიმე დღის განმავლობაშიც გახდა.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ შრი-ლანკას ხელისუფლებას სამოქალაქო მოსახლეობის "უნესრიგო დაბომბვის" შეწყვეტა, ხოლო ბოვიკური დაჯგუფების "თამილ-ილამის გათავისუფლების ვეფხვებს" იარაღის დაყრა მოსთხოვა.

კუნძულ-სახელმწიფოს ხელისუფლება უარყოფს, რომ ფედერალური არმია მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავს და მათი საცხოვრებელი ადგილების სიახლოვეს მძიმე არტილერიას იყენებს.

თუმცა "თამილის" ბოვიკების მიერ გავრცელებული ცნობები,

სულ სხვა რამეზე მეტყველებს.

თამილელი სეპარატისტები ამტკიცებენ, რომ შრი-ლანკის სამთავრობო ძალებმა საომარ ზონაში განთავსებული საავადმყოფო დაცხრილეს, რასაც, სულ მცირე, 45 ადამიანის სიცოცხლე შეენირა.

ბოვიკების განცხადებით, საავადმყოფოს ცეცხლი დილით ადრე გაუხსნეს. მათი თქმით, იქ გასულ შაბათ-კვირას მომხდარი შეტაკებების დროს დაჭრილი ადამიანები მკურნალობდნენ.

შრი-ლანკის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ მათთვის ამ ფაქტის შესახებ ცნობილი არაფერია. უფრო მეტიც, ხელისუფლებაში მიაჩნიათ, რომ თამილელ ბოვიკებს შეუძლიათ, იარაღის გამოყენებით აიძულონ საავადმყოფოს ექიმები, არასწორი ინფორმაცია გავრცელონ.

ამავდროულად სეპარატისტები აცხადებენ, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა თავის დაცვას ვერ ახერხებს, რადგან ნასასველი ადგილი არა აქვთ, თუმცა ცდილობენ, მუდმივ შეტაკებებს თავი დამალვით აარიდონ.

იმის გამო, რომ დამოუკიდებელ რეპორტიორებს საომარ ზონაში არ უშვებენ, რომელიმე მხარის სიტყვების გადამოწმება და დადასტურება ან უარყოფა შეუძლებელია.

გაერო-ს მონაცემებით, მხოლოდ გასული კვირის ბოლოს მომხდარი შეტაკებების შედეგად 400-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ხოლო 1000-ზე მეტი დაიჭრა. უშიშროების საბჭომ ოთხშაბათს "სერიოზული შეფოთება" გამოხატა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში "სულ უფრო გამწვავებული ჰუმან-

იტარული კრიზისის" გამო.

ამავდროულად, საერთაშორისო ორგანიზაცია "ნითელი ჯვრის" წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ქვეყნის სანაპიროსთან უკვე დგას აუცილებელი მედიკამენტებით დატვირთული გემი.

ხომალდის გამოყენება დაჭრილთა გადასაცხადებლად შეიძლება, მაგრამ ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, სანაპირო ზოლთან ამჟამად არსებული ვითარება ჰუმანიტარული ოპერაციის ჩატარებას სერიოზულად ათულებს.

გაერო-ს შეფასებებით, კონფლიქტის შედეგად სანაპირო ზოლის 3 კვადრატულ კილომეტრამდე ტერიტორიას, დაახლოებით, 50 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები დატოვებს.

# აშშ-ირანის ურთიერთობების კარგი დასაწყისი

ნათუნა გახიანი

ისრაელის გაზეთ "ჰარეცის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ოფიციალურ თელ-ავივს ირანზე შეუთანხმებული დარტყმა გადააფიქრებინა. შესაბამისი გზავნილი ობამამ შეერთებული შტატების მაღალჩინოსნის მეშვეობით ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჟუს, კაბინეტის წევრებსა და ქვეყნის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელებს გადასცა.

გამოცემის თანახმად, შეერთებული შტატების პრეზიდენტი ისრაელისგან მოითხოვს, ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყებით არასასიამოვნო სიურპრიზი არ მოუშალოს ამერიკას, თანაც იმგვარად, რომ თეთრი სახლი ფაქტის წინაშე ბოლო მომენტში აღმოჩნდეს.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ეს გაფრთხილება ვაშინგტონში ნეთანიაჟუს ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე გახმაურდა. ბენიამინ ნეთანიაჟუ ვაშინგტონში ბარაკ ობამას ორშაბათს უნდა შეხვ-



ბარაკ ობამა

AFP, 2009

დეს. ისრაელის გაზეთის თანახმად, ოფიციალურ ვაშინგტონს ძალიან აფიქრებს, ისრაელმა მოთმინება არ

დაკარგოს და ირანის წინააღმდეგ მოქმედება არ დაიწყოს.

შეერთებული შტატების შემფო-

თება უსაფუძვლო ნამდვილად არ არის, გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე წლის აპრილის შუა

რიცხვებში უცხოურ მედიაში გამოჩნდა ინფორმაცია ისრაელის სამხედრო ძალების მზადყოფნის შესახებ. გავრცელებული ცნობებით, ისრაელი ირანის ბირთვული ობიექტების მასირებული საავიაციო დარტყმებისთვის ემზადებოდა. ისრაელს აქვს მონაცემები იერიშის სავარაუდო სამიზნეების ზუსტი განლაგების შესახებ, - ნერდა აპრილში ბრიტანული გამოცემა "თაიმისი."

ბარაკ ობამას შეფოთება, სავარაუდოდ, ნეთანიაჟუს განცხადებას უნდა გამოეწვია.

"არჩევის შემთხვევაში, პირობას ვდებ, რომ ირანი ვერ შექმნის ბირთვულ იარაღს," - განაცხადა ნეთანიაჟუმ არჩევნებამდე, ხოლო შემდეგ, ჰოლოკოსტის ხსოვნის დღეს აღნიშნა - "ჰოლოკოსტის უარყოფილებს არ მივცემთ ახალი ჰოლოკოსტის განხორციელების უფლებას".

ნეთანიაჟუსა და ისრაელის თავდაცვის მინისტრ ეჟუდ ბარაკს ვაშინგტონ-თეირანის დიალოგის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, თუკი ეს დროში ძალიან არ განელებს.



# რევოლუ

## ქართული რადიკალიზმის ღენდ არტი



ღენდ არტი თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი მიმდინარეობაა. ის ოფიციალურად 1968 წელს, ნიუ იორკში არტისტების მიერ ერთ-ერთ გალერეაში გამართული გამოფენით Earthwork ვადგომდა. ღენდ არტის ტიპის მხატვრულ ნამუშევრებში ყოველთვის ბუნების ნაშთები და ფრთხილად გამოყენებული - ხე, ქვა, მიწა, ქვიშა, მცენარეები და ა.შ. დიდწილად ამ მიმდინარეობის მხატვრული ობიექტები ღია ცის ქვეშ იფინება და ხაზს უსვამს ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობას, ხშირად ადამიანის მიერ ბუნების მხატვრულ ხედვას... მაგრამ არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც...

### უსათაურო ნახატი

#### სოფო კილასონია

სამხატვრო აკადემიის მცირე გალერეაში აკადემია + უკვე ორ თვეზე მეტია სრულიად განსხვავებული ინტერესებისა და ხედვის მხატვრებს მასპინძლობენ და მათთვის თავისუფალ სივრცეს ქმნიან. ამ ხნის განმავლობაში იყო ტრადიციული ექსპოზიციები, ცოტა იყო ექსპერიმენტი, რაც ზოგადად ქართული არტისტული სივრცისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ იყო ახალგაზრდა მხატვრების სხვადასხვა ტიპის აქტივობები, რაც ალბათ მაინც იმედის მომცემია.

ორი დღის წინ შარდენის 19-ში არსებულ ამ მცირე გალერეაში გაიხსნა გამოფენა, რომლის ექსპოზიციამაც შვიდი ხელოვანის ხედვა დაიტია, ოღონდაც გრაფიკული ხედვა. ამ უსათაურო გამოფენაზე ჩვენ სრულიად განსხვავებულ პოზიციებზე მდგომი შვიდი ხელოვანის ნამუშევრებს ეცნობით. სხვადასხვა თაობის და განსხვავებული მხატვრული ხედვის მქონე არტისტებს მხოლოდ ერთი რამ აერთიანებთ - ნახატი. უფრო სწორად ხაზის, ფორმის, ფიგურატივიზმის ძიება



იმ მედიებში, რომლებსაც წლების განმავლობაში ინსპირაციათა თუ იდეათა ხორცშესახებულად იყენებენ. ეს მედიები, ანუ მათი სამეცნიერო ენა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება : ფოტოგრაფია,

სცენოგრაფია, დაზგური გრაფიკა, არქიტექტურა, დიზაინი... გურამ ნიბახაშვილი, პოლინა რუდნიკი, ამირან პატარქალიშვილი, გივი ალაპიშვილი, დავით ქორქია, თამარ ქარუმიძე, მაია სუმბაძე -

ერთი შეხედვით რთულია მათ შორის საერთო დავინახოთ, მაგრამ ეს გამოფენაც სწორედ იმითაა საინტერესო, რომ მათ ეს საერთო თავად მოძებნეს. ეს საერთო წერტილი კი საფუძველში ოპოზიციონერს, აღნიშნეს რა ამ ექსპოზიციით რომ ყოველი მათგანი საკუთარ სტილსა და არტისტულ პრიორიტეტებს ნახათ აშენებენ, - რომელიცაა ზოგადად და სიურეალისტურ, ხშირად ინფანტილურსა და იმპროვიზირებულ, ეტიუდურ და რაც მთავარია, - უსათაურო ნახატზე. პოლინა რუდნიკი ტილოზე ამობეჭდილ ესკიზებს გვთავაზობს, ესკიზებს სამი სხვადასხვა სპექტაკლიდან, ერთ-ერთია ის დადგმა, რომელსაც გივი მგელაძე რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტალური სცენისთვის გვიმზადებს. მხატვრის ამ ესკიზებით, იგრძნობა ის უცნაურობა, თითქოს სიურეალიზმი, რომელიც მათ მნახველს აუცილებლად მიიყვანს მგელაძის სპექტაკლის პრემიერაზე. სიურეალისტური კიდევ ბევრია ამ გამოფენაზე. მაგალითად არქიტექტორ-დიზაინერის, ამირან პატარქალიშვილის გრაფიკული ჩანახატები, მხოლოდ ავტორის გონებაში არსებული სახლის ესკიზები, - სახლის ჩანჩქერის თავ-

ზე და კიდევ მხატვრული ვარიაციები ფროიდისა და და ვინჩის აზრების გადაკვეთის წერტილებზე. წერტილები ფურცელზე გაფანტულ, მოცურავე ობიექტებს და არსებებს მაგონებს, ამჯერად უკვე მაია სუმბაძის ნამუშევრებიდან. ეს მხატვარი დახვეწილობით, ლაკონიზმითა და მხატვრულ კონცეფციითა ორიგინალობით ისევ აოცემს დამთვალიერებელს. ისევ სიურეალისტურ ხაზებს თუ გავყვებით, გურამ ნიბახაშვილის თამამ-თამაშში გაკეთებული ჩანახატები (ერთ დროს წიგნში) მოგვაგონდება და მისი სახენაგლეჯილი მამაკაცი და ასოციაციების გამო მიხატული ნიშნები აგვიკიდებთ გალერეიდან. მამაკაცის პერსონაჟი კი სასაცილოდ ბევრჯერ მოგვაგონდება და ცოტა თავსაც მოგაბეზრებთ. რომ არა გივი ალაპიშვილის ძველი პორტრეტული ნამუშევარი (ჯოვანი ვეფხვაძის პორტრეტი) და მისი მოსწავლის, დავით ქორქიას გრაფიკები, უსათაურო ექსპოზიციის რეალობას საბოლოოდ დაგავინწყებდათ, თუმცა არც ქორქიას ნახატად ქცეული ოცნებაა ძალიან რეალისტური - სახელოსნო არარსებულ ინდუსტრიულ ქალაქში.



**კომენტარები მთავარზე**



**ისტორია და მოწოდება**

**ლამა ბაღაძე**

დემონსტრანტები ოცდაერთი წლის წინ შეიკრიბნენ რუსთაველის გამზირზე და დღემდე იქ დგანან. ეს ყველაფერი ვიცით.

მაგრამ ამჟამად სხვა რამე მინტერესებს: სად იკმაყოფილებდნენ მომიტინგეები ბუნებრივ მოთხოვნილებებს თუნდაც 1988-89 წლებში?

განა მოსაქმევა-განტვირთვის ისტორიაც ჩვენი ისტორია არაა? ხომ უნდა ვიცოდეთ!

აი, რას მოგვითხრობს ოთხმოცდამეორე წლების საპროტესტო მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მწერალი დ. ტურაშვილი:

"ძირითადად, პირველი სკოლის ტულაელები დაედიოდით, იქ ვიკმაყოფილებდით ბუნებრივ მოთხოვნილებებს. არ მასხოვს, მინსკევიცა გადასასვლელი მოეფსას ვინმეს... ამას არავითარ შემთხვევაში არ ვიკადრებდით".

სხვა, ძველი მომიტინგეების გადმოცემების თანახმად, ტულაელებით არა მხოლოდ პირველ სკოლაში, ილიასა და აკაკის ზურგს უკან, არამედ "შხატერის სახლშიც" შეიძლება ჰქონოდათ საცხოვრებელი. თუმცა ახლა აღარც "შხატერის სახლი" და არც მისი ტულაელები... ცნობილია მხატვარმა, თ. კიტოვანმა ავტობიოგრაფიაში მისი.

1990-91 წლებში კარვები და იქ მოსახლე ქალბატონები მოგვიტანა. ეს ქალბატონები, რაკი პრეზიდენტის დამცველები იყვნენ, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შედიოდნენ მთავრობის სახლის (ამჟამინდელი პარლამენტის) საპროფარმაცეუტული... აბა, შარდის ბუმბუტებსაც ხომ არ დაიხეთქებდნენ დედ, პატრიოტულ გულგებთან ერთად!

მერე კი ამ ადგილას მხოლოდ პირველი პრეზიდენტის ქვრივი მართავდა ოცდაათი წლიანი დემონსტრაციების და, თუ სწორად მასხოვს, მოსაქმევე არც მიდიოდა საქმე... ან შლიდნენ ან თავადვე იფანტებოდნენ.

მასხოვს დეპუტატ კ. დავითაშვილის მიერ გამართული "ორმხანაო მიტინგებიც", ძირითადად, პენსიონერებით შეესებოდა და ასევე მალევე დასრულდა.

"ვარდების რევოლუციის" მიტინგებზე ხალხი თბილისი-მერიოტში დადიოდა მისაფხმელად...

ვის აღარ შეხედებოდათ იმ ტულაელებთან! ეჰ, რამდენი ილუზია გასკდა მას შემდეგ... რამდენი ოცნება ჩაიკვალა... დღეს კი რა ხდება?

მთელი მიტინგი ალექსანდრეს ბაღში არსებულ ერთ პატარა ტულაეტი-კორტეჯში ეკვებება, ზოგიერთნი კი - კიდევ კარგი, ერთეულნი, - პირდაპირ საკანალიზაციო ორმოებში სცლიან წლებანდელ ოცნებებს...

ვერ გამოვიყვანო, რას მიკეთებს ასეთ დროს ქალაქის მერია? განა ბიოტულაელების მიტინგის იხილვას ვინმე... ბიოტულაელები კიდევ უფრო დიდი ჯოჯოხეთია! თანაც, შეიძლება, შიგნიდან ჩაიკეტოს და სულიც ამოგხდეს უპაერობისაგან... რატომ არ გააქვთ ნაგავი სოლოლაკიდან?

რატომ უნდა ჩაიხრჩოს თბილისის ცენტრი ნეხვში და ნაგავში? მენაგვეებს სცემენო...

არავინ არ სცემს ადამიანს მენაგვეობის გამო! "შეფარულ" და "ფსევდო-მენაგვეზე" რა მოგახსენოთ... რუსთაველი დიდ მოსასაქმებლად იქცა...

და თუკი რაიმე საზღვარს ეპიკრიზი დაინიშნება, უპირველესად, სწორედ მერია იქნება ამაში დამნაშავე!

თუკი მენაგვეების მიშვებისა გეგმიანია, სთხოვეთ მღვდლებს (არ ვხუმრობ), აი, რა კარგად გააშველეს ახალგაზრდა მამაობა მამის ვილაც სპეცრაზმელების თუ პოლიციელების მსგავსნი და დემონსტრანტები!

შეწყენენ მენაგვეებს მამაობიც, ან მამაობივით გადააცვით მენაგვეებს და ისე შეუშვით (ქვეტექსტების ამოკითხვას ნუ შეეცდებით, სრული სერიოზულობით ვწერ)! გამოიყენეთ აქაც ეკლესიის ავტორიტეტი!

დარწმუნებული ვარ, არც დასუფთავების სამსახურის თანამშრომელს დააკარებს ვინმე თითქმის, მაგრამ მამისის მამაობი (ან, ვიმეორებ, მამისის მამაობის მსგავსნი) კიდევ უფრო ეფექტურები იქნებიან ამ მხრივ!

მივმართებ მერიას: აიღეთ ნებართვა საპატრიარქოდან, ფეხებზე დაიკიდეთ პოლიტიკა და კურთხევა მიეცით... უფრო სწორად, ზრახვებზე მიეცით მენაგვეებს, რომ ცოტათი მინც მოსაუფთავონ რუსთაველი და სხვა პატარა თუ დიდი, ნაგავში ჩაძირული ქუჩები!

თუ უკვე აღარ ითვლება ეს ქუჩები თბილისის ნაწილად?

**თეთრი ფურცლიდან დაწყებული საქმი**

**გამოიცა ახალი ლიტერატურული გაზეთი**

**თამარ ქიქნაძე**

დღეიდან ქართველი მკითხველი ლიტერატურულ გაზეთს წაიკითხავს. ის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით გამოვა, მთელი საქართველოს მასშტაბით გავრცელდება და სხვადასხვა ასაკის ავტორთა გამოუქვეყნებელ მასალას შემოგვთავაზებს.

ლიტერატურული გაზეთის პირველი ნომრის პრეზენტაცია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა. მისი გამოცემის იდეა ამ სამინისტროსა და მასთან არსებულ მწერალთა სამეურვეო საბჭოს ეკუთვნის. პრეზენტაციაზე აღნიშნეს, რომ ახალი გაზეთის გამოშვების აუცილებლობა ლიტერატურული პერიოდის სივრცეში ბოლო წლებში წარმოქმნილმა ვაკუუმმა გამოიწვია.

ეს გამოცემა მიზანდ, სახელმძღვანელო ავტორებთან ერთად, ახალგაზრდებისა და დებოუტანტების წარმომრჩენას ისახავს. გვიპირდება, რომ შემოგვთავაზებენ პროზისა და პოეზიის ნიმუშებს, კრიტიკულ ლიტერატურულ წერილებს, დრამატურგიულ ნაწარმოებებს, ინტერვიუებს (მწერლებთან, პოეტებთან, გამოცემლობებთან, მკითხველებთან), უცხოელ ავტორთა შემოქმედების თარგმანებს თუ მსოფლიოსი მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს. ლიტერატურული გაზეთის რედაქტორია ირაკლი ჯავახაძე, რედაქტორის მოადგილე - უჩა შერაზადაშვილი, ჟურნალისტები: ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ჟურელი.

პრეზენტაცია მინისტრმა - ნიკოლოზ რურუამ გახსნა. ვიდრე ის სიტყვას წარმოთქვამდა, სამინისტროში შეკრებულმა მწერლებმა და ჟურნალისტებმა ახალი გაზეთის გადათვალისწინება მოასწრეს. რას გეთავაზობს საპრეზენტაციო ნომერი? რას და, ანა კალანდაძის უკანასკნელ გამოუქვეყნებელ ლექსს (ავტობიოგრაფიის სახით), ჭაბუა ამირეჯიბის სამადლობლო სიტყვას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისადმი (უნძინდესსა ამ მწერალს საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო, წმინდა გიორგის ორდენი მწერლობაში შეტანილი წვლილისა და სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის გადასცა), ტარიელ ჭანტუიას პოეზიას, ბესიკ ხარა-



ნიკოლოზ რურუა, ზაზა აბზიანიძე, ირაკლი ჯავახაძე.

ნაულის პოეტურ პროზას, დავით ქართველიშვილის ესსეს, ზაზა ბიბლაშვილის ლექსებს, მიხო მოსულიშვილის მინიატურებს, ზაზა გოგიას კრიტიკულ წერილს გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაზე, ინტერვიუებს ნობელიანტ თურქ მწერალ ორჰან ფაშუქთან (დაიბეჭდა გაზეთში შიგვლ), დრამატურგ ირაკლი სოლომონაშვილთან და ბაკურ სულაკაურის გამოცემლობის დირექტორთან, თინა მამულაშვილთან.

ჩემთვის რაიმე ორიგინალურის თქმა, ცოტა არ იყოს, რთულია. იმედი მაქვს, ეს ჟურნალი ორიგინალურს თვითონ იტყვის. მჯერა, რომ ამ გაზეთის დაარსება ლიტერატურული პროცესების აღდგენას შეუწყობს ხელს. მასთან სხვადასხვა ასაკის ადამიანები ითანამშრომლებენ. იქ ყველა სახის ლიტერატურა დაიბეჭდება და ჩვენთვის საყვარელი მწერლების გვერდით, ვფიქრობ ახალგაზრდებიც სათანადოდ წარმოჩინდებიან. ერთი სიტყვის, ეს იქნება გაზეთი მათთვის, ვისაც ლიტერატურასთან პროფესია აკავშირებს, - გვითხრა ნიკოლოზ რურუამ და სიტყვა გაზეთის დაარსების იდეის თანაგვტორს გადასცა.

ზაზა სამადაშვილი: - მინდა ამ გაზეთის დაბადება ყველას მიუელოცო. მართალია ის ორ კვირაში ერთხელ გამოვა, მაგრამ თუ საქმი გახდა თექვსმეტგვერდიანი გამოცემის პერიოდის შემცირებაც შეიძლება. ამის მზაობა, როგორც ვიცი, კულტურის სამინისტროს აქვს. ვფიქრობ, ქართული

ლიტერატურის განვითარების საქმეში ეს გაზეთი დიდ როლს შეიტანს. ამ თვალსაზრისით, ის პირველი მერცხალია, რომელსაც შემდეგ სხვებიც მოჰყვებიან. მაღალი ხარისხის პროდუქცია მხოლოდ კონკურენციამ იზადება. ეს გამოცემა ისეთი ადამიანების ხელშია, რომ უკეთესი და უკეთესი იქნება.

რეზო ჭიჭიშვილი: - ლიტერატურული გაზეთის გამოცემის შესახებ ვიცოდი და ველოდებოდი. დღეს ის პირველად მიჭირავს ხელში მისი პირველი გვერდი ორ პატივცემულ პიროვნებას ეთმობა მთავარი სექტის გაზეთი არ გამოვიდეს, ანუ ხელმისაწვდომი გარკვეული წრისთვის ის, უპირველესად, მწერლისთვის უნდა იყოს, ნამდვილი მწერლისთვის.

ტარიელ ჭანტუია: - ახალი ლიტერატურული გაზეთის გამოცემა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია. დღეს მასკულტურას კულტურა ყველგან კედელთან ყავს დაყენებული, მაგრამ დიდი და წარმატებული ქვეყნები კულტურას მასკულტურისგან იცავენ, ამაში, უხეშად რომ ვთქვათ, ფულს ხარჯავენ. ამასწინათ წავეკითხე, რომ პარიზი წინგის გამოცემაზე ყოველწლიურად, თურმე, 350 მილიონს ხარჯავს გამეხარდა, რომ კულტურის სამინისტრომ ასეთი ინიციატივა გამოიჩინა, ფული გამოიხარა და ამ გაზეთის სახით, მშვენიერი ბავშვი გააჩნა. თუ როგორი იქნება ის, მომავლის საქმეა. მე დაველოდები მის მესამე ნომერს, რომელიც იქნება მაჩვენებელი იმისა, თუ როგორი გაიზარდა ეს

პატარა ბავშვი.

ზაზა აბზიანიძე: - ასე მგონია, რომ დიდი ხნის განმავლობაში გაზეთის უქონლობამ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას ძალიან მძიმე კვალი დააჩნია. მიმართა, რომ ახლად დაბადებული ლიტერატურული გაზეთი მწერლების გამოყოფი და მათი დამატალკავებელი კი არ იქნება, არამედ ჩვენს კოლეგებს გააერთიანებს და ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ახალ იმპულსს შეიტანს და არ გათიშავს ჩვენს ისედაც ძალიან გაძნელებულ ცხოვრებას, კლანებად და პარტიებად დაყოფილ საზოგადოებას ახლა ჩვენ ერთიანი სულისკვეთება გვჭირდება, რადგან ის ტრიბუნა, რომელიც ოდითგანვე იყო მწერლობა და ის მისია, რომელიც ქართველ მწერალს ჰქონდა, მე მგონია, რომ ხშირად გვაკინწყდება ამ მისიას შესატყვისი პრესა სჭირდება და მიუხედავად რამდენიმე კარგი ჟურნალისა, ჩვენ, შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურული გაზეთი არ გვქონდა. პირადად მე მზაობა მაქვს იმისა, რომ ვითანამშრომო თეთრი ფურცლიდან დაწყებულ ქართულ ლიტერატურულ გამოცემასთან.

ლიტერატურული გაზეთის ტირაჟია ათასი ეგზემპლარი. ის 50 თეთრი ელირება. ასე რომ, ნახეთ და გაეცანით გამოცემას, რომელმაც ხელი ლიტერატურული პროცესების წინსვლას უნდა შეუწყოს.

**ფრანგული ფოტოჰეიზაჟები**

**პარიზული სტილი დიუმას კულტურის ცენტრში**

**აკაკი ჩინკაძე**

ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი გია გოგატიშვილის ფოტოგამოფენას მასპინძლობს. ექსპოზიცია, სახელწოდებით "ფრანგული პეიზაჟი" საფრანგეთის თემაზეა შექმნილი და სხვადასხვა ფრანგული ქალაქის თუ სოფლის: პარიზის, შატონის, სენტ-კრუას, ლიონის, მარსელის და სხვათა პეიზაჟებს ასახავს.

გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოები 2008 წლის დეკემბრიდან 2009 წლის მარტამდე პერიოდში, ფოტოგრაფის სამხრეთ საფრანგეთში მოგზაურობისას არის გადაღებული. მიუ-

ხედავად იმისა, რომ ფოტოგრაფის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, გადაღებული ხუთი ათასი ფოტოდან, დიუმას საგამოფენო დარბაზში მხოლოდ 50 ფოტო გამოიფინა, სადაც ნათლადაა ასახული ფრანგული სოფლების ძველი სტილის არქიტექტურა, ძველი სახლები და ვინო ეზოები. პარიზის თუ სხვა ფრანგული ქალაქების სილამაზის მიუხედავად, ფოტოგრაფის დაინტერესება და აღფრთოვანება განსაკუთრებით ფრანგულმა სოფლებმა გამოიწვიეს. "მოგზაურობა ძალიან საინტერესო გამოვიდა, განსაკუთრებით სასიამოვნო სანახავი იყო რომაული პერიოდად შემორჩენილი ძეგლები და შემდგომი პერიოდის

მთიანი სოფლები. ყველაფერი ერთმანეთზე უკეთესი იყო და განსაკუთრებულად ვერაფერს გამოვიყოფ"- ამბობს გია გოგატიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ გადაღებულ ფოტოებში სხვა მრავალი თემაც იყო ასახული: მთლიანად ფრანგული ხელოვნება: თეატრი, ოპერა და ა.შ., ასევე დემონსტრაციები და ქუჩის გამოსვლები, გადწყვიტა გამოფენაზე მხოლოდ ის ნამუშევრები გამოეჩინა, რაც ქართული დამთავალიერებისთვის ნაკლებად ნაცნობი და არაბუნებრივად იქნებოდა.

გია გოგატიშვილის 13 მაისს გახსნილი ფოტოგამოფენა, დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში, თვის ბო-

ლომდე გაგრძელდება, ფოტოგრაფის სამომავლო გეგმებში კი სხვა ქვეყნების თემაზე გამოფენის გაკეთებაც შედის, თუმცა ამჟამად უკვე განსხვავებული - სოციალური თემებით. "ყველა ქვეყანაში მოგზაურობის სურვილი რა თქმა უნდა დიდია. ასევე დიდი სურვილი მაქვს იგივე თემაზე გადაღებული ნამუშევრებიც შევთავაზო სხვა კულტურულ ცენტრებს, თუ დაინტერესდებიან, მაგრამ შეეცდები მანც განსხვავებული თემებით გამოვიდე დამთავალიერების წინაშე", - აღნიშნავს ფოტოგრაფი. გარდა ამისა, შესაძლოა ვინაა გოგატიშვილის მიერ გერმანიაში გადაღებული ფოტოები, ახლო მომავალში გოეთეს ინსტიტუტშიც ვიხილოთ.



# მუსიკა, რომელიც ათავისუფლებს

ფესტივალის იპოდრომზე - იქ, სადაც ბიოტელეფონები დამონტაჟდება

## სოფო კილასონია

ხვალ საღამოს თბილისში ის ფესტივალის ინცენა, რომელიც მისი ორგანიზატორების თქმით, ფანტასტიკურ საღამოებს და მხოლოდ ცოცხალ მუსიკას გვიპირდება. სხვადასხვა მუსიკალური ჟანრები და თავისუფლება. დიას, Tbilisi Open Air-ს დევიზიც ასეთი აქვს - მუსიკა ათავისუფლებს! თავისუფლებასთან იდენტიფიკაციის პროცესში ქართველები მტად ორიგინალურად ვიქცევით, მაგრამ ამჯერად უნდა ვიმედოვნოთ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად და რაც მთავარია, სულ ცოტა ეთიკის ნორმების დაცვით ჩაივლის. მიუხედავად იმისა, რომ დაგვირდნენ ფესტივალის პოლიტიკისგან შორს იქნება, სულ ცოტა ხნის წინ ამ ფესტივალს ევროვიზიის ალტერნატივად მოიაზრებდნენ. ეს ევროვიზია კი საქართველოსთვის ამკარად პოლიტიკაა, ცხარე ომი. თუმცა დღეს უკვე აღმოაჩინეს რომ მსოფლიოს კულტურულ სივრცეში ამ ფესტივალზე მდარე არაფერია, ეს აღმოაჩინეს მას შემდეგ, რაც უამრავი ფული დახარჯეს, ცხადია სახელმწიფო ფული. ეს ისე, არასასიამოვნო მოგონებები უახლესი ისტორიიდან.

მოკლედ, დავივინყო ეს წარსული. მაინც არ გავიჭირდება, ჩვენ ხომ ისედაც ცუდი მესხიერება გვაქვს, განსაკუთრებულად პოლიტიკური მესხიერება და დღეს საღამოს ექვსი საათიდან შუა ღამემდეგ, შარდენზე ახალ ფესტივალს დავუთმობთ დროცა და ყურადღებაც. Tbilisi Open Air-ის პირველ დღეს მოვისმენთ ექვსი ჯგუფის მუსიკალურ კომპოზიციებს. მუსიკოსებს რუსეთიდან და გაერთიანებული სამეფოდან ორი ქართული გაერთიანება Smile და Play Paranoid უმასპინძლებს.

საფესტივალო ბუკლეტიდან ვგებულობთ რომ:

ჯგუფი Smile 2006 წელს თბილისში შეიქმნა. თავდაპირველად ჯგუფში ხუთი წევრი იყო, თუმცა დღესდღეობით ოთხნი: სანდრო სულაქველიძე (დრამი, ვოკალი), აჩი სულაქველიძე (ბასი), ვიო ჭოლოკავა (გიტარა) და ოთო ხმალაძე (კლავიშები) აგრძელებენ ამ ჯგუფში დაკვრას. ჯგუფის Smile მუსიკა როკის, ბრიტპოპის, ალტერნატივისა და ფანქის ნაზავია. ამჟამად ჯგუფი სადებიუტო



Smile



ალბომის გამოსაშვებად ემზადება, რომლის სახელწოდებაცაა Long Strong Story".

დღევანდელ კონცერტზე გამოისვლეული მეორე ქართული ჯგუფია Play Paranoid.

ბენდი სულ ორი წლისაა და ის გიგი სანადირაძემ (ვოკალი, გიტარა) ცოტნე ჩიქობავასთან (ბასი) ერთად დააარსა. მათ პირველი სიმღერები "სახლის სტუდიაში" თავადვე ჩაუწერიათ. ერთწლიანი შრომის შედეგად

Play Paranoid-მა სამი სადებიუტო დემო სინგლი ჩაწერა: Lost Part, Running From Dome და Can U Feel. 2008 წლის დეკემბერში მათ ახალი წევრი გიორგი ცისკარიშვილი (გიტარა) შეემატათ. ამჟამად კი Play Paranoid ლეიბლი Step Records-ის დახმარებით ახალ ალბომს წერს.

რაც შეეხება სტუმრებს. დღეს გავეცნობთ სამ ბრიტანულ ჯგუფს: Transglobal Underground ყოფილი DJ-ების გაერთიანებაა, მაგრამ დღეს

უკვე ცოცხალ მუსიკას ქმნიან, The Black & Reds სულ ორი მუსიკოსისგან შედგება და ისინი კლასიკურ როკს ვეთავაზობენ, როგორც ამბობენ საშიში beat-ით და datk მუსიკით.

The Travelling Band ბრიტპოპის ფანრის ერთგულია და ერთ საინტერესოდ პათეტურ სტატუსსაც - მანჩესტერის მომავალი იმედი - ირგებს თურმე. თუმცა, ამას ხვალ დაგვიმტკიცებენ. თანაც მანამ, სანამ შარდენის სცენაზე რუსი მუსიკოსები Cheese People-ის სახელით გაერთიანებული მოგვესალმებიან და როგორც გვირდებიან რუსულ სიგიჟეს სამარადან და საკუთარ ექსპერიმენტებს ელექტრონული და ჰიპ ჰოპ მიქსებით წარმოგვიდგენენ.

16 და 17 მაისს ფესტივალის იპოდრომზე გადაინაცვლებს. სახელდახელოდ მოწყობილ საფესტივალო ქალაქში. საფესტივალო კონცერტები საშუალოდ 4 საათს გასტანს, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ თბილისელებო. იპოდრომზე ბიოტელეფონები იქნება დამონტაჟებული, რატომ? რით დავიმსახურეთ? იმით, რომ ამ მუსიკალური პროექტის მხარდამჭერები არიან თბილისის მერია და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

## კონსერვატორიასთან არსებული სამოსიკო სასწავლებელი დაიხსნა

თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან სამუსიკო სკოლა დაარსდა.

2009/2010 სასწავლო წლისათვის სამუსიკო სკოლა აცხადებს მიღებას I-XI კლასის ჩათვლით. სკოლაში ჩარიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით გაივლიან გამოცდას შემდეგ სპეციალობებზე:

1. საფორტეპიანო
2. საორკესტრო სიმებიანი საკრავები
3. საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები

პირველ კლასში ჩარიცხვა განხორციელდება მუსიკალური მონაცემების შემოწმების შედეგად. მისაღები გამოცდები ჩატარდება სახელმწიფო კონსერვატორიაში

სამუსიკო სკოლაში საბუთები მიიღება ყოველდღე 20 მაისიდან 11-დან 17 სთ-მდე

საბუთების მიღება შეწყდება 2 ივნისს 16 სთ-ზე. მისაღები გამოცდები დაიწყება 4 ივნისს. ღია კარის დღე ჩატარდება 25 მაისს, ორშაბათს, 3 საათზე კონსერვატორიის კამერულ დარბაზში.

24 საათი

## დღეს პირველი და მეორე კლასები სასწავლო წელს დაასრულებენ

დღეს საქართველოს საჯარო სკოლების პირველ და მეორე კლასებში სასწავლო წელი დასრულდება. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განაცხადეს, ბოლო ზარი 15 მაისს დაირეკება. რაც შეეხება დანარჩენ კლასებს, ისინი სწავლას 16-დან 20 ივნისამდე დაასრულებენ.

განათლების მინისტრის ბრძანებით, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის იმ სკოლებს, სადაც სასწავლო პროცესი ოპოზიციის საპროტესტო აქციებმა შეაფერხა, უფლება მიეცათ, სასწავლო წელი დადგენილზე ორი კვირით გვიან დაასრულონ. ლაპარაკია იმ სკოლებზე, რომლებიც, ძირითადად, პარლამენტისა და მთავრობის კანცელარიის მიმდინარე ტერიტორიებზე მდებარეობს.

მედიაინფო

## თსუ-მ და ათათურქის უნივერსიტეტმა მემორანდუმი გააფორმეს

გუშინ სახელმწიფო უნივერსიტეტში თურქეთის ათათურქის უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო თბილისის უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები სწავლების, კვლევის, აკადემიური პერსონალის განვითარების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა გაცვლის სფეროებში თანამშრომლობენ.

მედიაინფო

## ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო განცხადება

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს სამ ლოტად ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლების წყალსადენების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტებია:

### ლოტი N1

სოფლებში: მრავალძალში, ახალ ჩორდში, ზუდალში, ქვემო კვაშხეთში, სევამი, შქმერში და ფარახეთში წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები;

### ლოტი N2

სოფლებში: ცხმორში (ბერიკაშვილების უბნის), ბაჯიხევში (დვალიძეების უბნის), საბანაძეებში, ჟაშქვაში და სხიერში წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები;

### ლოტი N3

სოფლებში: ნიგავ ზებში, ჯინჭვისში, უნერაში, გლოლაში და ხიდულელებში წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები.

სამუშაოს შესრულების სასურველი ვადა 3 თვე.

დაინტერესებულ პირებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: სს საქ.სახალხო ბანკის ონის ფილიალი ს/კ 220101449 ანგარიშის N33030301 და (2009 წლის 15 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით) წარმოდგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. ონი აღმაშენებლის მოედ. N1 მე-3 სართული სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

### საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

#### იურიდიული პირებისათვის:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

#### ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მენარმის რეგისტრაციის საბუთი;

#### ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

- პრეტენდენტის რეკვიზიტები: იურიდიული მისამართი, ტელ.: , საბანკო რეკვიზიტები და ელ. ფოსტა არსებობის შემთხვევაში.
  - ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერილი და ბეჭდით დამონებული სატენდერო წინადადება, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 35 დღეზე ნაკლები;
  - სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში;
  - სამუშაოს ღირებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს;
  - გამარჯვების შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვევო გარანტი, წარმოდგენილი წინადადების 2%-ის ოდენობით;
  - გამარჯვების შემთხვევაში წინასწარ ანგარიშსწორების სურვილის შემთხვევაში გამოყენებული იქნება საბანკო გარანტია წარმოდგენილი წინადადების 50%-ის ოდენობით;
  - პრეტენდენტმა წარმოდგინოს ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოქმედებულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.
- პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დანაქველ კონვენტებში, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 3 ივნისს 10.00სთ.-დან 17.00სთ.-მდე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
- პრეტენდენტს შეუძლია წინადადება წარმოადგინოს ერთ ლოტზე, თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული
- პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
- დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, ტელ.: (899) 766 540; (895) 113 175.

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისია



# ბანკსადავო ტენდერის ჩატარების შესახებ

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისამართი ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი N1 აცხადებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

შესყიდვის ობიექტი დაიყოფა 2 ლოტად:

1. სოფელ ქვაბისხევის სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და სოფლის შიდა ქსელის მოწყობა.

2. სოფელ კორტანეთის სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია.

შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 1 ოქტომბრამდე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად ( 1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 8 ივნისის 10 საათიდან 8 ივნისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ბორჯომი რუსთაველის მოედანი N1, მე-4 სართული, ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:ს

### იურიდიული პირისათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

- ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება;

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან იურიდიული პირის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) ყადაღის არ არსებობის შესახებ;

### ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება.

### როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირისათვის:

- მონაწილის რეკვიზიტები ( მისამართი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, ბანკის რეკვიზიტები).

- ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

- ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

- ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელების თანამდებობა, გვარი სახელი და მამ-

მის სახელი, მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი), მხოლოდ ანალოგიურ სამუშაოების შესრულებაზე მუშაობის გამოცდილება (წელი), დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით.

- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების საერთო მოცულობის, ხელშეკრულების ღირებულების, შესრულებული სამუშაოს ტიპის და შესრულების ვადების ჩვენებით, დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით.

- ინფორმაცია სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება) დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით.

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ( უნდა იყოს წარმოდგენილი უკანასკნელი 2 სამეურნეო წლის ამსახველი ფინანსური დოკუმენტაცია).

სამუშაოების ცალკეული ნაწილის ქვე-კონტრაქტორების შესრულების შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე ქვე-კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები და მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს სახე და მოცულობა.

ქვე-კონტრაქტორების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორების მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40 %;

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 15 მაისიდან 5 ივნისამდე, 10 სთ -დან 17 სთ-მდე. მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი N1 მე-4 სართული. ოთახი N5, ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახური.

სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინება სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 ლარს და გადარიცხული უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საინდიფიკაციო კოდი 226161961;

მიმღების ბანკი: ს.ს "თი-ბი-სი ბანკის" ბორჯომის ფილიალი, ანგარიში: 5833050100001, ბანკის კოდი 220101762;

გადასახადის დანიშნულება: ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბორჯომი რუსთაველის მოედანი N 1 მე-4 სართული , ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ტელეფონი: (8-267)-2-20-13, 899180915, მაია მახარაშვილი.

### სატენდერო კომისია

# ბანკსადავო ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ N1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი - სოფ. ჭყვიშის წყალსადენის რეაბილიტაცია.

II ლოტი -- სოფ. ხიდიკრის წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია.

III ლოტი - სოფ. მუხლის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია

IV-ლოტი- სოფ. ლადიშის წყალსადენის რეაბილიტაცია.

V-ლოტი- სოფ. პატარაონის წყალსადენის რეაბილიტაცია

VI-ლოტი- სოფ. ძირაგეულის წყალსადენის რეაბილიტაცია

VII-ლოტი- სოფ. კლდისუბანის წყალსადენის რეაბილიტაცია

VIII-ლოტი- სოფ. ბოსტანას წყალსადენის რეაბილიტაცია

IX-ლოტი- სოფ. აბარის წყალსადენის რეაბილიტაცია

X-ლოტი- სოფ. იწის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია

XI-ლოტი- სოფ. ჯვარისის წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია

XII-ლოტი- სოფ. ხვანჭკარის საუბნო წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია

2. დაფინანსების წყარო: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავალდებულო ვადაა 2009 წლის 30 სექტემბრამდე მიწოდების ადგილია ამბროლაურის მუნიციპალიტეტი.

4. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე დალუქულ ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) ერთი დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 5 ივნისის 10 -საათიდან 17-საათამდე. შემდეგ მისამართზე ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ N 1, ---სატენდერო კომისიის აპარატში (I- სართული). სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება 2009 წლის 5 ივნისის 18 საათზე შემდეგ მისამართზე ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ N 1 III სართული. ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწონნ სატენდერო წინადადების გახსნას.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

### 5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

გ) ცნობა შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ( ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ);

### 5.2 ფიზიკური პირისათვის

ა) ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი

### 5.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის

ბ)შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონ-

ნი,ფაქსი, ელექტროფოსტა, საბანკო რეკვიზიტები)

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.

ე) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

ვ) ინფორმაცია ინჟინერ ტექნიკური პერსონალის გამოცდილების და კვალიფიკაციის შესახებ. მათ შორის ანალოგიური საქმიანობის სფეროში.

6. პრეტენდენტის მიერ განაცხადების მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

**შენიშვნა:** მომსახურების გასანჯვად სუბ-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ- კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები მე-5 მუხლის მიხედვით.

7. ზემოთ აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული / შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

8. ტენდერში გამოყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ასევე ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლება განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 4 ივნისის 16 საათამდე.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, სახელმწიფო ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 300303174 გადახდის დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი.

10. შესყიდვაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

12. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას ტენდერში მონაწილის მიერ, ხელმოწერილი წინადადებები არ განიხილება.

13. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება, ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

14. ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის აპარატში. მისამართზე: ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ N 1, I-სართული. საკონტაქტო პირი ბეჟან კობახიძე ტელ N-858-456-436

### სატენდერო კომისია



# სპორტი

## მანუ ფინალს მიღმა დარჩა

ჯერ კიდევ სეზონის შუაში ცხადი გახდა, რომ მანუჩარ მარკოვიშვილის ბკ კიევის გაუჭირდებოდა ჩემპიონობისთვის ბრძოლა. მსოფლიო ფინანსური კრიზისის სპორტსაც შეეხო და ეს უკრაინულ საკალათბურთო გუნდზე ნათლად აისახა. ბკ კიევის მესვეურებმა ფაქტობრივად ყველა ლეგიონერი დაიხვეწეს და კიევური გუნდი, რომელიც გასულ სეზონში ქვეყნის ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, წლელს კი ევროტურნირებზეც კარგი სტარტი აიღო ერთ საშუალო დონის კლუბად იქცა.

ბკ კიევის ბოსებმა გუნდში ლეგიონერებიდან მხოლოდ მანუ დატოვეს და სწორედ ქართველისა და დროზდოვის მხრებზე გადადიოდა მთელი სეზონის განმავლობაში მთელი სათამაშო ტვირთი.

მგლებს, ასე მოიხსენიებენ ბკ კიევს უკრაინაში, ფლეიოფში გასვლა არ გაუჭირდათ, არც მეოთხედფინალური დაპირისპირების მოგება ყოფილა რთული, თუმცა ნახევარფინალში ლეგიონერების არყოფნამ თავი იჩინა და მხოლოდ ორი გამოცდილი (საუბარია მარკოვიშვილზე და დროზ-



მანუს გარჯა ფინალში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა

დოოვზე) ხარჯზე ფინალში გასვლა არ გამოვიდა.

ბკ კიევმა უკრაინის საკალათბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალში ბკ დონეცკთან სერია 1:3 წააგო და ფინალს მიღმა დარჩა.

სერიის მე-4 შეხვედრაში, რომელიც დონეცკში შედგა,

ქართველი კალათბურთელი ჩინებულად გაისარჯა და სტუმრებს 20 ქულა მოუტანა, თუმცა, მისი გუნდი 74:84 დამარცხდა.

მანუჩარმა 10-დან 4 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, რასაც 4 პასი, 3 ჩაჭრა და 4 მოხს-

ნა ნაამატა. სათქმელია ისიც, რომ მარკოვიშვილმა ბურთი 9-ჯერ დაკარგა, მსაჯებს კი 4 პერსონალური ფოლი დასტყუა.

უკრაინის პირველობის ფინალში ბკ დონეცკის მეტოქე მარიუპოლის აზოვმაში იქნება.

აქვე ვოვა ბოისაზეც გეტყვით, რომელიც ხორვატულ ზადარში ასპარეზობს საკმაოდ წარმატებულად და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლასაც აგრძელებს.

ხორვატიის საკალათბურთო ჩემპიონატში ზადარმა აუტსაიდერ ცედევიტას უმასპინძლა და 102:83 იმარჯვა.

ქართველმა კალათბურთელმა ზადარელთა სასტარტო შემადგენლობაში იასპარეზა და 23 წუთში მასპინძლებს 8 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა.

ვოვამ 2-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო, 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მასზე კი 4-ჯერ დაჯარიმდნენ.

ბოისას კლუბმა 11 მოგება და 2 მარცხი გააჩნია და მხოლოდ ლიდერ ციბონას ჩამორჩება.

## ქართული დაპირისპირების მოლოდინი

ტოკიოში მიმდინარე მაისის ბაშო ხერხეობით ქართველთათვის საკმაოდ წარმატებულია. სუპერტურნირის პირველსავე დღეს ორივე ქართველმა იმარჯვა, თუმცა ამის შემდეგ კოკაი და ტორინომინი მონაცვლეობით იგებდნენ და ჩვენ აგუკრ უკვე ოთხი დღეა ორმაგი გამარჯვების მოლოდინში ვიყავით და აი ეს დღეც დადგა.

ასპარეზობის მეხუთე დღე 28 წლის კოკაისა და ძუროს დივიზინში მოსაპარეზე კიტატაიკის შერკინებით დაიწყო. გამოცდილმა ქართველმა სუმოისტმა მეტოქე იორიკირის ილეთით დაამაპცხა და აქტივში მესამე გამარჯვება ჩაინერა. ამრიგად ლევან ცაგურაის უკვე სამი გამარჯვება დაუგროვდა ორი მარცხის ნილ.

გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს ახალგაზრდა



გუშინ ორივე ქართველმა მოიგო

ქართველ სუმოისტ ლევან გოგრაძეს. ტორინომინი დოხიოზე რიგით მეოთხე წყვილში უნდა გამოსულიყო. დასავლეთის მეცამეტე მაიგაშირას

რანგში მოასპარეზე ქართველმა, რიტინგში მის წინ მდგომი ტორინომინი (იგი დასავლეთი მეთერთმეტე მაიგაშირა გახლავთ), ასევე იორიკირის ილე-

თით დაამარცხა და ხუთი დღის შემდეგ უკვე ოთხი გამარჯვება აქვს, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ქართველი ბაშოს დადებითი ბალანსით დაასრულებს და რეიტინგშიც წინ წაიწეოს.

აღსანიშნავია, რომ მაისის სუპერტურნირზე ქართველებს ერთმანეთის პირისპირაც მოუწევთ წარსდგომა, და ეს სწორედ დღეს უნდა მოხდეს.

კოკაი და ტორინომინი დოხიოზე ერთად გავლენ და უკვე წმინდა ქართულ სუმოისტურ დაპირისპირებაში გაარკვევენ, რომელიც უკეთესი ამ ეტაპისთვის.

რაც შეეხება თავად ბაშოს მიმდინარეობას, მოულოდნელი არაფერი ჯხდება ჰაკუჰო დამაჯერებლად ლიდერობს.

### ვარშავა ან კიევი

ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ფინალი ვარშავაში ან კიევში გაიმართება - ამის შესახებ განცხადება ბუქარესტში უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ გააკეთა. "წინასწარ დაგეგმილი იყო, რომ ჩემპიონატის ფინალი კიევში უნდა გამართულიყო, მაგრამ ახლა შემოიღია დავადასტურო, რომ კიევი აღარ არის ერთადერთი კანდიდატი. ფინალი უკრაინის დედაქალაქში მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმართება, თუ 30 ნოემბრისათვის შესრულდება ყველა ის პირობა, რაზეც ვიყავით მოლაპარაკებულები. ეს შეეხება, ინფრასტრუქტურას, ტრანსპორტს, გზებს, სტუმრების განთავსებას და ასე შემდეგ" - თქვა პლატინიმ. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაასახელა ის 4 ქალაქი პოლონეთის მხრიდან, რომლებიც ტურნირს უმასპინძლებენ, ესენია: ვარშავა, გდანსკი, პოზნანი და ვროცლავი. რაც შეეხება უკრაინას, კომიტეტის გადაწყვეტილებით ჩემპიონატის სამასპინძლოდ სადღეისოდ მხოლოდ კიევია მზად. დონეცკის, ხარკოვის და ლვივის კანდიდატურების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ნოემბრის ბოლოს იქნება მიღებული.

### ჰლები "ინტერი"?

მილანის "ინტერს" "ბარსელონას ნახევარმცველის ალექსანდრ ჰლების შექენა სურს. იტალიური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მურინიომ თავისი გუნდის ნახევარდაცვის ბელარუსი ფეხბურთელი გაძლიერება გადაწყვიტა და საამისოდ კლუბს შესაბამისი თანხის გამოყოფა მოსთხოვა. თავის მხრივ ჰლებმა განაცხადა, რომ მოსწყინდა "ბარსელონას" სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და კლუბის გამოცვლა სურს. "ინტერი" სადღეისოდ მზადაა 11,8 მილიონი გირვანქა გადაიხადოს ბელარუსის ნაკრების ლიდერში, რაც დაახლოებით იმდენივეა, რაც თავის დროზე "ბარსელონამ" "არსენალს" გადაუხადა მოთამაშის ტრანსფერში.

### "ჯორჯია" დაკომპლექტდა

ფონდი არველადის დახმარებით ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირში (TORNEO DEL FUTURO) ქართული გუნდი პირველად ითამაშებს. ქართველი 12-წლამდელები ამსტერდამში 15 მაისს გაემგზავრებიან, მატჩები კი 16-17 მაისს გაიმართება.

ფონდი არველადის ვებ-გვერდის ცნობით, ჯორჯიას მწვრთნელი გამოცდილი სპეციალისტი ნოდარ აკობია გახლავთ, რომლის განკარგულებაშიც ამსტერდამის ტურნირზე 18 მოზარდი იქნება.

**მეკარეები:** 1. ნიკა ადვიშვილი (35-ე სკოლა), 12. ოთარ გომამძე (საბურთალო).

**მცველები:** 2. გიორგი თვარაძე (ოლიმპი), 3. გიორგი ადამია (ოლიმპი), 4. ირაკლი ფირცხალავა (35-ე სკოლა), 5. ნიკა ლაშხია ( ბაია ზუგდიდი), 14. დავით შუბითიძე (35-ე სკოლა), 16. ნიკა კველიშვილი (ლოკომოტივი).

**ნახევარმცველები:** 6. გუგა ფირცხალავა (35-ე სკოლა), 7. ნიკა ქორიძე (35-ე სკოლა), 8. სანდრო ალტუნაშვილი (ოლიმპი), 17. გიორგი ჰაპუაშვილი (მთვარის გლობუსი), 18. ირაკლი ბიძინაშვილი (ოლიმპი), 19. გურამ გომთელიანი (ოლიმპი).

**თავდამსხმელები:** 9. გეგი სართანია (ოლიმპი), 10. ვატო არველადი (35-ე სკოლა), 11. გიორგი არველადი (SV RAP, ამსტერდამი), 15. გიორგი ზარია (35-ე სკოლა).

### გატუზო მზად არაა?

მილანის ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ ტქრავმა კი მოიშუშა, მაგრამ ამბობს, რომ ჯერჯერობით ასი პროცენტით მზად არ არის და მინორზე სრულ 90 წუთს ვერ გაატარებს.

ხუთთვიანი პაუზის შემდეგ, მოედანზე გასვლისას ცოტა შიშს ვგრძნობდი და ზედმეტად ემოციური ვიყავი. თუმცა, რამდენიმე წუთში თავდაჯერება დამიბრუნდა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ვფიქრობ, 90 წუთი თამაში ჯერ კიდევ არ შემოიღია, მაგრამ განვლილი მატჩი ჩემთვის მნიშვნელოვანი ტესტი იყო. თუმცა, სერია A სულ სხვა რამაა. მოხარული ვიქნები, თუ მიმდინარე სეზონში გუნდს კიდევ დავეხმარები, თუმცა, ამისათვის სათანადო სათამაშო ფორმა უნდა დავიბრუნო - განაცხადა გატუზომ.

## მანასლუ შეცდომა აღმოჩნდა

### გიგა გურასაშვილი

ახლახანს ვიუწყებოდა ქართველმა მთამსვლელმა ბიძინა გუჯაბიძემ საერთაშორისო ექსპედიციის ფარგლებში დედამიწის სიმალლით მერვე მწვერვალი მანასლუ (8163 მ.) დალაშქრა. სამწუხაროდ, მსგავსი ინფორმაცია მცდარი აღმოჩნდა. მოხდა ისე რომ არასწორი ინფორმაცია მოგვაწოდეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფაქტის უტყუარობის გადამოწმება მეტად რთულია.

რა თქმა უნდა, კავშირგაბმულობის არ ქონის გამო. ექსპედიციები სატელიტური ტელეფონით სარგებლობენ და ისიც გამოიკლის შემთხვევებში.

დღევანდელი ინფორმაციით კი ის ვიცით, რომ ექსპედიცია საბაზო ბანაკში დაბრუნებულა. ამასთან რამდენიმე წევრს მანასლუს დაპყრობის განზრახვისგან ხელი აუღია. მანამდე ამავე ექსპედიციის ოთხმა რუსმა წევრმა აიკრა შინისაკენ გადასვლა.

ექსპედიციის ხელმძღვანე-

ლის ბოგომოლოვის განმარტებით, რომელიც ინტერნეტის მეშვეობით გავრცელდა, კიდევ ერთხელ, უფრო სწორედ მეხუთედ შეეცდებიან მანასლუს დაპყრობას. წარუმატებლობის შემთხვევაში კი ექსპედიციის დარჩენილი წევრებიც შინისაკენ გამოემუშვებიან.

სხვათა შორის, 1998 წელს ბიძინა გუჯაბიძე გია თორთლაძესთან ერთად ახლოს იყო მიზანთან მაგრამ უამინდობის გამო დაახლოებით 7500 მეტრიდან პირი იბრუნა.

ქართველთაგან მანასლუს პირველდამყრობი კი გია თორ-

თლაძეა, რომელმაც მიზანს მეექვსე ცდაზე 2006 წელს მიაღწია. ცნობისთვის იქამდეღი ხუთი მცდელობა დაელაშქრათ მანასლუ ყველასთვის კრახით დასრულდა.

ერთი სიტყვით, ისლა დაგვრჩენია ბიძინა გუჯაბიძეს მისთვის რიგით მეექვსე მ-ათასიანი მწვერვალის დაპყრობა ვუსურვოთ (ორჯერ ევერესტი დაიპყრო ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან 1999 და 2003 წლებში, ასევე ლჰოტე - 8516 მ., დჰაუ-ლაგირი - 8167 მ., ჩო ოიუ - 8201 მ. და გაშერბრუმ II - 8035 მ.).



### “რედინგი” კომპლმა დატოვა

ინგლისის ჩემპიონალიგაში მოასპარეზე რედინგის მთავარმა მწვრთნელმა სტივ კოპელმა დაკავებული თანამდებობა დატოვა, ვინაიდან გუნდის პრემიერლიგაში გადაყვანა ვერ შეძლო.

კოპელის შეგირდებმა ჩემპიონალიგაში მე-4 ადგილი დაიკავეს, მაგრამ პრემიერლიგაში აღსაზრებელი ფლეიოფის მატჩი ბარნლისთან დათმო.

ფიქრობ, ეს გადაწყვეტილება, როგორც ჩემთვის, ასევე, კლუბისთვის საუკეთესოა - განაცხადა კოპელმა, რომელიც რედინგს 2003 წლის 9 ოქტომბრიდან წვრთნიდა.

### ნესტა და კალაძე

მილანს, რომ ამ სეზონში დაცვაში პრობლემები ჰქონდა ეგ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა. კალაძისა და ნესტას ტრავმები, მობერებული მალდინი

ითქვა, რომ როსონერი მომავალ სეზონში დაცვის გაძლიერებას ფიქრობს, თუმცა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანის მიაჩნია, რომ დაცვის ცენტრში კალაძემ და ნესტამ უნდა ითამაშონ.

იმედი მაქვს, რომ მილანის ძირითად შემადგენლობაში ნესტასა და კალაძის წყვილს ვიხილავ. მალდინი? ყოველთვის, როდესაც ის მხვდება, იღიბება და თავს მხრებში ჩარგავს ხოლმე, რადგან იცის, თუ რის შესახებ უნდა ვესაუბრო. გასულ წელს, მოვასხერხე და იგი გუნდში კიდევ ერთი სეზონით დარჩენაზე დავიყოლიე - თქვა გალიანომ.

რაც შეეხება კალაძეს, ქართველი მცველი სავარაუდოდ მართლაც იქნება მილანის დაცვის ძირითადი ფიგურა და ბურჯი, აი ნესტასთან დაკავშირებით კი პრობლემები არსებობს, ალდესანდროს ზურგის ტრავმა იმდენად ანუხებს, რომ მან შესაძლოა ფეხბურთს საერთოდ დაანებოს თავი.

გუნდის მთავარ მწვრთნელად კარლო ანჩელოტის დარჩენა-არდარჩენის შესახებ, მილანის ვიცე-პრეზიდენტმა შემდეგი კომენტარი გააკეთა:

რაც შეეხება კლუბში კარლო ანჩელოტის მომავალს, როგორც არაერთხელ აღმინიშნავს, გაზეთებში დანერგვის თაობაზე კომენტარს არ გავაკეთებ. ყოველ შემთხვევაში 31 მაისამდე, ან იქამდე, ვიდრე მილანი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურს არ მოიპოვებს.

### რობინიოს გარეშე

მანჩესტერ სიტის მთავარი მწვრთნელის მარკ ჰიუზის განცხადებით არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ქალაქელთა ბრაზილიელი ლიდერი რობინიო ვერ შეძლებს ტოტენჰემის წინააღმდეგ თამაშს. ეს მატჩი პრემიერლიგის მორიგ ტურში იმართება.

ამ ეტაპზე გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, ვნახოთ რა მორხდება ამ დღეებში. რობინიოს თამაში საეჭვოა, ალბათ ტოტენჰემის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს და მას ჩემპიონატის ბოლო შეხვედერისთვის მოვამზადებთ, - აცხადებს ჰიუზი.

### დროგბას ნაცვლად ადებიაორი

შესაძლოა არსენალის ფორვარდმა ემანუელ ადებიაორმა ამ ზაფხულს ლონდონი არ დატოვოს, თუმცა კლუბს აუცილებლად შეიცვლის. ბრიტანული მედის ინფორმაციით ტოგოელ ფორვარდს ჩელსის მესვეურები დიდი დროგბას შემცვლელად წარმოადგენენ.

მეთოფეთა ფორვარდი ძალიან მოსწონს კარლო ანჩელოტის, რომელიც უკვე შეხვედრია რომან აბრამოვიჩს და იტალიელი ალბათ ჩელსის მთავარი მწვრთნელის პოსტს დაიკავებს. რაც შეეხება დროგბას იგი სავარაუდოდ აუცილებლად დატოვებს ჩელსის და კარიერას ან იტალიაში ან კიდევ ესპანეთში გააგრძელებს.

### ორი ტიტული ერთ კვირაში

ოთხშაბათს ბარსელონამ მესტალიაზე ესპანეთის სამეფო თასის ფინალში ატლეთიკი დაამარცხა და სეზონში პირველი ტიტული მოიგო. კატალონიური კლუბის მცველი ხერარდ პიკე იმედოვნებს, რომ ამ კვირაში ბარსა მეორე ტიტულსაც მოიგებს და ტსაფიქრალი მარტო ჩემპიონთა ლიგა იქნება.

ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ბარსელონა მალიორკას უპირისპირდება და გამარჯვების შემთხვევაში ვადაზე ადრე დაიბეგებს ქტვეყნის ჩემპიონის ტიტულს.

ყველაფერი თავის დროზე უნდა გაკეთდეს. ესპანეთის თასი მოვიგეთ, ახლა ჯერი ჩემპიონობაზეა და კვირას ეს ტიტულიც უნდა დავიბეგოთ, შემდეგ კი რა თქმა უნდა ჩემპიონთა ლიგა, - აცხადებს პიკე.

## ვან გალი ბაიერნში გადავიდა

ჯერ 1997-2000, ხოლო შემდეგ 2002-03 წლებში ედგა სათავეში ბარსელონას და მასთან ერთად ორჯერ (1997-98 და 1998-99) ესპანეთის პირველობა, და თითო-თითოჯერ ესპანეთის თასი (1997-98) და უეფას სუპერთასი (1997-98) მოიგო.

ყველაზე დიდ წარმატებას კი მან აიაქსში მიიღწია, რომელსაც 1991-97 წლებში სამჯერ (1993-94, 1994-95 და 1995-96) ჰოლანდიის ჩემპიონობისკენ, და თითო-თითოჯერ უეფას თასის (1991-92), ჩემპიონთა ლიგის (1994-95), უეფას სუპერთასის (1995) და საკონტინენტთაშორისო თასის (1995) მოგებისკენ გაუძღვა.

2000-2002 წლებში მას ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები ებარა, თუმცა მისი მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზე გაყვანა ვერ შეძლო.

2005-09 წლებში წვრთნიდა ალკმარს და მიმდინარე სეზონში მას ქვეყნის პირველობაც მოაგებინა.

ალბათ სწორედ ასეთი ბიოგრაფიის მწვრთნელი სჭირდება გუნდს, რომელიც რეკორდმაისტერად იწოდება და რომელიც აგერ უკვე რამდენიმე სეზონის განმავლობაში ევროპული გრანდიდან წმინდა გერმანულ სუპერკლუბად იქცა, ეგ კი არა და ბოლო ხანს გერმანიის ჩემპიონობის მოგებაც უჭირს.

გამოცდილი და ერთგვარად დიქტატორი მწვრთელი და არა შოუმენი, რომელზეც ამ სეზონის დასაწყისში დადეს ფსონი ბაიერნის მესვეურებმა და შედეგად ჩემპიონთა ლიგიდან სამარცხვინოდ გამოვარდნენ გერმანიის ჩემპიონის ტიტული კი შესაძლოა მოკრძალებულ



არველაძე და ვან გალი ბაიერნშიც ერთად იმუშავებენ

ვოლფსბურგს დაუთმონ.

მას შემდეგ, რაც ბაიერნის მესვეურებმა კლინსმანი და ითხოვეს და გუნდს დროებით მწვრთელი ჩაუყენეს სათავეში ცხადი გახდა, რომ კაიზერ ფრანცი და კომპანია სოლიდურ და სახელიან მწვრთელს ეძებდნენ. ზუსტად ამ პერიოდში მოკრძალებული ალკმარის გაჩემპიონების შემდეგ ლუი ვან გალმა თქვა, რომ დიდ კლუბში სურს მუშაობა და ბაიერნის შემოთავაზებაზე უარს არ იტყოდა. ამის შემდეგ ყველაფერი უკვე ტექნიკის საქმე იყო. მართალია ალკმარის მესვეურები ცდილობდნენ ვან გალის შენარჩუნებას, მაგრამ ეს შეუსრულებელი მისია გახ-

ლდათ. და აი ოთხშაბათს ვან გალმა ბაიერნთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ძალიან ბედნიერები ვართ, მისი სახით ასეთი გამოცდილი და წარმატებული მწვრთნელის გადაბირება რომ შევძელით - განაცხადა ბაიერნის გამგეობის თავმჯდომარემ კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

ალკმარის პრეზიდენტი დირკ შერინგა ბოლო დღეების განმავლობაში ნიადაგ იმას აცხადებდა, რომ მას კონტრაქტის ამონურგამდე არ გაუშვებდა. მაგრამ სახელიანმა სპეციალისტმა მისი დაყოლიება მაინც შეძლო.

შერინგას ბაიერნისგან ვან გალის ვადამდე გათავისუფ-

ლების საფასური არ მოუთხოვია, თუმცა მიუხედავად გარკვეული კომპენსაციის გაღება მაინც მოუწევთ: ბილდი ვარაუდობს, რომ ბაიერნი საამისოდ ან ალკმარში ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს, ან ვან გალთან ერთად იქიდან რომელიმე ფეხბურთელსაც წაიყოს, რაშიც რამდენიმე მილიონს გადაიხდის.

ჩვენთვის კი ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ბაიერნში ვან გალს ასისტენტობას შრთა არველაძე და ფრანკ დე ბური გაუწევენ. ამრიგად ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფორვარდის სამწვრთნელი კარიერა ნაბიჯ-ნაბიჯ ზევით მიიწევს.

## ითამაშე და დალიე

დაახლოებით ასეთი დევიზი ჰქონდა პოლ გასკოინს, როდესაც პროფესიონალი ფეხბურთელი იყო და ახლა იგივეს თანამედროვე ფეხბურთელებსაც მოუწოდებს. უფრო სწორად ინგლისში მოთამაშე ვარსკვლავებს დასაღვევად გაზას მონოდეა ნამდვილად არ სჭირდებათ, ბრიტანელი ფეხბურთელები სასმელს ისედაც არ იკლებენ, უბრალოდ გაზას მიაჩნია, რომ დაუშვებელია ფეხბურთელებისთვის დალევის აკრძალვა, ვინაიდან დატვირთული ცხოვრების პირობებში ეს განტვირთვის ერთადერთი საშუალებაა.

გასკოინს ამ თემაზე საუბარი მას შემდეგ დასჭირდა, რაც ტოტენჰემის მთავარმა მწვრთელმა ჰარი რედნაპმა მოუწოდა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციი ს ხელმძღვანელებს, რომ მათ მკაცრი სანქციები დაანესონ იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებიც ალკოჰოლური სასმელებისადმი მიდრეკილებში იქნებიან მხილებული.

რედნაპი ამბობს, რომ ინგლისურ ფეხბურთში დალევის კულტი ჩამოყალიბდა და ამ პრობლემამს დროზე თუ არ მიხედვს ვითარება კიდევ უფრო დამძიმდება.

მართლაც ბოლო ხანს ინგლისურ ფეხბურთში ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელს შეექმნა პრობლემები დალევის გამო. ამ სკანდალურ ისტორიებში ტოტენჰემის ორი ფეხბურთელიც გაეხსნა. კერძოდ ლედლი კინგი და ჯერმინ დეფო, კინგს კი საერთოდ ადამიანზე თავდასხმაშიც ედება ბრალი. თანაქალაქელებს



გაზა რედნაპს დაუპირისპირდა

არც მეთოფეთა ახალგაზრდა ფორვარდი ნიკლას ბენდტენერი ჩამორჩა. სწორედ ამ მოვლენების შემდეგ გააკეთა განცხადება ჰარი რედნაპმა, რაზეც ორი დღის წინ პოლ გასკოინის პასუხი მიიღო.

გასკოინის თქმით ინგლისელ ფეხბურთელებს საკმაოდ რთული ცხოვრება აქვთ. გადატვირთულ საფეხბურთო კალენდარს

პაპარაცებისგან მუდმივი ბურადლება ემატება და ფეხბურთელს უბრალოდ განტვირთვა სჭირდება ამისათვის კი დალევა იდეალური ყოფილა. გაზა ამბობს, რომ მაგალითისთვის ჰოლანდიელი ფეხბურთელები ეწვიან (თუმცა პოლმა არ დააკონკრეტა კერძოდ რას ეწვიან ჰოლანდიელი ფეხბურთელები), ინგლისელებს კი განსატვირთად

დალევა სჭირდებათ. თავად გასკოინი განტვირთვის ამ მეთოდს ფეხბურთელობის პერიოდში საკმარად ხშირად მიმართავდა, იმდენად ხშირად, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ფაქტობრივად გალოთდა და მკურნალობაც კი დასჭირდა. ხოლო რამდენ სკანდალში გაეხსნა გაზა ლოთობის გამო, ამას ვინ მოსთვლის.



# ბანცხალება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ხილნადის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვას და იქვე მდებარე დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად:

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ორ ლოტად:

### I ლოტი

ქ. წნორში რუსთაველის და 9 აპრილის ქუჩების 0.935 კმ. და სოფ. ბოდბეში „კონთხევის უბნის“ 0.5 კმ. მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტი მოიცავს შემდეგ ძირითად სამუშაოებს:

ძირითად სამუშაოთა ჩამონათვალი	განზომილება	მოცულობა
კოეცების გაწმენდა	კმ.მ	245
გვერდულზე და სავალი ნაწილზე გამონატანი თხიფიანი გრუნტის მოცილება	კმ.მ	266
სავალი ნაწილის ორთქლი შეკეთება	კმ.მ	535
ნაწიბურების აღდგენა	კმ.მ	26
საფეხედის მოწეობა ქვიშა-ხრეშოვანი მასალით და ფრაქციული ღორღის (ღ=40მმ) ნარევი	კმ.მ	175
შემასწორებელი ფენის მოწეობა ა/ბ ნარევი	ტ	138,6
საფარის ქვედა ფენის მოწეობა მსხილმარცვლოვანი ა/ბ ნარევი სისქით 4 სმ	კმ.მ	2500
საფარის ზედა ფენის მოწეობა წვრილმარცვლოვანი ა/ბ ნარევი სისქით 3 სმ	კმ.მ	2500
საფარის ზედა ფენის მოწეობა წვრილმარცვლოვანი ა/ბ ნარევი სისქით 4 სმ	კმ.მ	2834
მისაგრევი გვერდულების მოწეობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი	კმ.მ	187

### II ლოტი

ქ. ხილნადში ორმილას წყაროსთან (0.75 კმ) და სოფ. ნუკრიანში „გოტორის“ მისასვლელი (3.2 კმ) საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოები. პროექტი მოიცავს შემდეგ ძირითად სამუშაოებს:

ძირითად სამუშაოთა ჩამონათვალი	განზომილება	მოცულობა
კოეცების მოწეობა 0,25 კმ ტევადობის კოქსის მქონე ექსკავატორით	კმ.მ	381
სავალი ნაწილის შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი მარევის დამატებით	კმ.მ	585

სამუშაოების დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

- სამუშაოს შესრულების კადასტრული შეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში.
- სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა შესაძლებელი იქნება სატენდერო მისაკრებლის 200 ლარის გადახდისა და სატენდერო აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და ხათანადო მომართვის წარმოდგენის შემდეგ. მთხოვნისთანავე, სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი მონაწილეობის სურვილის შესახებ, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 06 ივნისის 14 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ხილნადი, აღმაშენებლის მოედანი №2, I სართული. კონფერენცია გაიხსნება 2009 წლის 06 ივნისს 14 სთ-ზე. შემდეგ მისამართზე: ქ. ხილნადი, აღმაშენებლის მოედანი №2, I სართული.
- დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სატენდერო მისაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციებს:

### 6.1 იურიდიული პირებისთვის:

- შეყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები.
  - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია.
  - ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან მისი რეესტრაციის შესახებ.
  - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანიზაციის დახმარებით არ არსებობს შესახებ.
  - ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების, ან სანაციის საქმე საქმის წარმოება
- ### 6.2 ფიზიკური პირებისთვის:
- შეყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები
  - ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
  - ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების შესახებ
  - ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან ქმედუნარიანობის შესახებ
  - ცნობა საქართველოს შსს-დან ჩასამართლეობის შესახებ

### 1.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის:

- შეყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, საბანკო რეკვიზიტები).
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ.
- სამუშაოების განსაკუთრებით მაკროეკონომიკური ბაზის შესახებ (ოჯარის შემთხვევაში საჯარო ხელშეკრულების შესახებ).
- ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.
- ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის და ინკასოს არ არსებობის შესახებ.
- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შეხედვის დაწვევის მომენტისთვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამართლებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დამნაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა შსს-დან).
- ზემო აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული (შეღებნილი), წინადადება განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.
- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია, შეხედვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.
- სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 05 ივნისის 17 სთ-მდე, ზემო აღნიშნულ მისამართზე.
- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება და ნატარაულად გამოწმენდილი ახლი, აგრეთვე განხილვა აღტერნატული წინადადება.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელება გამარჯვებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს საუკეთესო პირობებს, ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო დოკუმენტს.
- დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, სატენდერო წინადადება ვატარდება რეესტრაციაში, მაგრამ არ განხილვა და გაუხსნელად დაებრუნდება პრეტენდენტს.
- მომსახურეობის ცალკეული ნაწილების შესრულება შესაძლებელია მოხდეს ქვიშა-ხრეშოვანი მარევის მიერ, მათი მონაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს მათი საკვალიფიკაციო მონაცემები.
- სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების დირექტორის 1% ოდენობით.
- სატენდერო მისაკრებელი ნაბიჯები: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, საქართველოს ეროვნული ხაზინა 220101222, ხაზინის კოდი 300523174. აუცილებლად უნდა მიეთითოს ხილნადის მუნიციპალიტეტის გამგეობა. პრეტენდენტმა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება დახურული კონფერენცია. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ: ქ. ხილნადი, აღმაშენებლის №2, I სართული, ხილნადის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ტელ: 8 255 3 23 11. 8 255 3 22 98.

სატენდერო კომისია

## ჩვენი საქმიანობის პრიორიტატი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარკვევი ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან !!!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩატარდება 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალებს-ტონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩატარდება 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალებს-ტონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება ნინასნარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20  
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)  
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

## ბ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

ს.ს. "მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი" ღრმა მწუხარებით იუნწყება, რომ გარდაიცვალა ანზორ მენტეშაშვილი და სამ-დიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

## ბ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

### აუქციონში ცვლილებების შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაზუთ "24 საათი"-ს, 2009 წლის 12 მაისის N103-ში გამოცხადებულ აუქციონში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებული იქნას აუქციონის მე-4 და მე-5 ლოტები.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა



**elite** 2009  
MODEL LOOK  
GEORGIA

**GET TO THE TOP**  
2009

**დაიკყარი მწვერვალი!**  
**გახდი მოდელი!**

საპრიზო ფონდი  
**\$275 000**



**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-იგინვეთ საქთაშიის სამოდელო ჯონჯახს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ლინდა ევანგელისა, სტეფანი სუიმიჩი, ელაეია მიფუჩი, სინდი კროფორდი - მათ აიჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ცოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი მანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პოპულარი ნაბიჯი ცოპ მოდელობისაკენ!

გამაჩვენებელი გაუმგზავნეთ Elite Model Look-ის საქთაშიის ფინალზე, სადაც მას ელის ჯონჯახ-ქუი სააგენტო ელიტან და **\$275 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანი და ანა ჯოჯახი საქთაშიისგან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტან და ნახმაგებით აჩვენებენ საქთაშიის სამოდელო კაჩიქსა.

**იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!**

მისამართი: ნიკო ნოცადის №8 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გახდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025; info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellookgeorgia.ge • www.icmodels.ge



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 29 აპრილს დაინიშნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "კავკასიზ-ნესაკადემიისთვის" უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 28 აპრილს დაინიშნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "საგადასახადო-საბაჟო აკადემიისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 30 აპრილს დაინიშნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "თბილისის ბიზნეს სკოლა თი ბი ეს-ისთვის" უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".

**მუდმივმოქმედი არაბიტრაჟი, დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო**

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით DDRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია შპს ჯი-აი-თი"-ს, კონსტანტინე მჭედლიშვილის, მალხაზ ბუცხრიკიძის, მალხაზ ქართველიშვილის, მალხაზ ჯაჯანიძის მიმართ.

სხენებულის საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 28 მაისს 11:00 საათზე, მუდმივმოქმედ არაბიტრაჟ დავების განმხილველ ცენტრში" შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული. სხენებულის სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე შპს ჯი-აი-თი" მისამართი ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. N1, კონსტანტინე მჭედლიშვილი მცხოვრები ქ. რუსთავი, მე-20 მ/რ, კორპ. 5, ბ. 75, მალხაზ ბუცხრიკიძე მცხოვრები ქ. რუსთავი, მე-12 მ/რ, კორპ. 36, ბ. 44, მალხაზ ქართველიშვილი მცხოვრები ქ. რუსთავი, 21-ე მ/რ, კორპ. 3, ბ. 9, მალხაზ ჯაჯანიძე მცხოვრები ქ. რუსთავი, მე-17 მ/რ, კორპ. 9, ბ. 46.

**1 მარტიდან**

საჯარო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით	52 ლარი;
6 თვით	26 ლარი;
3 თვით	13 ლარი;
1 თვით	4 ლარი.

**დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;**






# ექსკავატორები, საბზაო და სამშენებლო ტექნიკა




**TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT**  
JCB-ს ოფისიური დილერი საქართველოში



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.  
☎ 24-47-44, ☎ 24-47-44 (1219)

გარანტია:  
1 წელი, სამუშაო საათების შეზღუდვად

### ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ

სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (ყოფილი სსიპ "საფინანსო სააგენტო") მიერ 2009 წლის 28 მარტს საექსპერტო მომსახურების შესყიდვის თაობაზე გამოცხადებულ ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, რომელთანაც 2009 წლის 04 მაისს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

### ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სპუ)



აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობათა დასაკავებლად (სრული, ასოცირებული, ასისტენტ პროფესორი) შემდეგ მიმართულებებზე:

1. სოციალური მეცნიერებანი ბიზნესი და სამართალმცოდნეობა,
2. პუმანიტარული მეცნიერებანი და ხელოვნება
3. ინჟინერია, მრეწველობა და მშენებლობა,
4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მათემატიკა, კომპიუტერული სისტემები და ქსელები.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:


- პირადობის მოწმობის ასლი,
  - აკადემიური ხარისხის (დიპლომის ქსეროასლი) დადასტურებული ნოტარიალურად,
  - კვალიფიკაციის მიხედვით შესაბამისი პროგრამის წარმოდგენა, საბუთების მიღების ბოლო ვადა 10 ივლისი. კონკურსი ჩატარდება 10 აგვისტოს.
- ტელ: (822) 45 92 65; : 93-46-18, 855 73 25 35  
ელ პოსტა: [lika.lomaia@yahoo.com](mailto:lika.lomaia@yahoo.com)

P.S. სეუ-ში დაიწყო აბიტურიენტთა საბუთების მიღებაც.

ყველასპეციალობაზე ტელ: (822) 45-92-67; (893) 19-49-59; (855)995013

მის: თბილისი, წინანდლის ქ. №9, მეტრო 300 არაგველი, I კლინიკურ (არამიანცის) საავადმყოფოსთან

United Nations Development Programme  
UNDP Georgia  
2009



### გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი

„შიდა ქართლის რეგიონში პროფესიული განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობების შექმნა“

აცხადებს ტენდერს სამშენებლო ორგანიზაციის შესარჩევად შემდეგი სამუშაოების განხორციელების მიზნით: გორის უნივერსიტეტის V (ძირითადი) კორპუსის შიდა წყალმომარაგება-კანალიზაციის, გათბობის, გარე წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემების მონტაჟი

სამუშაოს დეტალური აღწერილობა, შემოთავაზების დოკუმენტის სტრუქტურა და მისი წარდგენის წესი განთავსებულია გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: <http://www.undp.org.ge>.


სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, აგრეთვე, შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მედიქიშვილის გამზ. №12, ოთახი №303

საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართება 2 ივნისს 12 საათზე გაეროს სახლში, (თბილისი, ერისთავის ქ. №9)

გთხოვთ თქვენი დოკუმენტაცია წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ერისთავის ქ. №9 ტელეფონი/ფაქსი: 22-14-11. დოკუმენტაციის შემოტანის საბოლოო ვადა 2009 წლის 29 მაისი, 17 საათი.

საკონტაქტო პირი: რევაზ საყვარელიძე, პროექტის მენეჯერი

United Nations Development Programme  
UNDP Georgia  
2009



### UNDP

**Project: Building Vocational Education and Training Capacities in the Shida Kartli Region**

UNDP Georgia office on behalf of the project Building Vocational Education and Training Capacities in the Shida Kartli Region is pleased to announce tender with the purpose of implementation of **Installation of Interior Water Supply – Sewage, Heating, Outer Water Supply – Sewage Systems of the V (main) Building of Gori University.**

Please, see detailed work description, structure of proposal document and rules for its submission on UNDP Georgia web-site: <http://www.undp.org.ge>.



საქმე №2-1146



გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საჯარო შეტყობინების განხორციელების შესახებ

24 აპრილი, 2009 წელი

ქალაქი ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გოჩა ფუტყარაძემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების განხორციელების საკითხი სამოქალაქო საქმეზე სს „პროკრედიტ ბანკის“ სარჩელისა გამო მერაბ ბოლქვაძის, ირაკლი მახაჭაძის, ეთერ მორჩილაძის და ვლადიმერ მახაჭაძის მიმართ თანხების დაკისრების თაობაზე

№2-1146

დაუსრულებელი გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

15 აგვისტო 2008 წელი

ქ. ბათუმი

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. სს „პროკრედიტ ბანკის“ სარჩელი დაემაყოფილეს მთლიანად, კერძოდ:

ირაკლი მახაჭაძესა და მერაბ ბოლქვაძეს სოლიდარულად დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს 5226.75 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა გადახდის დღისათვის არსებული კურსით. მათვე სოლიდარულად დაეკისროს მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახ. ბაჟის 261.45 ლარის და საგაზეთო პუბლიკაციისათვის განკუთვნილი ხარჯის 67 ლარის ანაზღაურება.

ვალდებულების შესრულების მიზნით რეალიზებული იქნას იპოთეკით დატვირთული ვლადიმერ მახაჭაძის ეთვნილი უძრავი ქონება მდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ფერიაში, ასევე დაგირავებული ნივთები, კერძოდ: ეთერ მორჩილაძის ეთვნილი ავტომანქანა „მერსედეს ბენც 1422ლ“ სახ. №8ა-830, და 10000 აშშ დოლარის ღირებულების სამშენებლო მასალა, მისაღები, საძინებელი და საზარეულო განიკეთი, სამეული.

2. საქმეზე სახ. ბაჟი გადახდილია

3. გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების თაობაზე საჩივრის შეტანა დასაშვებია ამ გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში გადაწყვეტილების გამოცხადების სასამართლოში, რის შემდეგაც გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

მოსამართლე: ხელმოწერილია გოჩა ფუტყარაძე

ასლი დედანთან სწორია მოსამართლის თანაშემწე

თამარ შაშიყაძე

ინფორმაცია

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2009 წელს ჩატარებული ტენდერების შედეგების შესახებ

1. ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკოლა-დელი დაწესებულებებისათვის და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სადღეღამისო ბაგა-ბაღისათვის კვების პროდუქტების ლოტებად შესყიდვაზე ჩატარებულ ტენდერში 2009 წლის 27 თებერვალს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასა და გამარჯვებულ ორგანიზაციებთან დაიდო ხელშეკრულებები:

- ი/ს "ქართლოს შაბურიშვილი" - ლოტზე N1, ლოტზე N2, ლოტზე N4 და ლოტზე N5 - N070201/30/070 საერთო ღირებულებით 320012,39 ლარი.

- შ.პ.ს. "ნილი" - ლოტზე N3 - N070201/30/069 ღირებულებით 33180,48 ლარი;

2. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე არსებული გზების, მოედნების, ტრიტუარების, საცხოვრებელი სახლების ეზოებში გზის საფარის მიმდინარე (საჭიროების შემთხვევაში ახალი საფარის მოწყობის) და ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებულ ტენდერში 2009 წლის 09 მარტს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასა და გამარჯვებულ ორგანიზაცია - შ.პ.ს. "თბილკანალი-2003"-ს შორის დაიდო ხელშეკრულება N070501/31/080 ღირებულებით 770975,89 ლარი.

3. ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მცხოვრებ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო კვებით მომსახურების შესყიდვაზე ჩატარებულ ტენდერში 2009 წლის 27 თებერვალს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასა და გამარჯვებულ ორგანიზაციებთან დაიდო ხელშეკრულებები:

- შ.პ.ს. "ლამპარი" ლოტი N1-ზე და ლოტი N2-ზე

ხელშეკრულება N070301/30/068 სულ საერთო ღირებულებით - 250408,98 ლარი.

- შ.პ.ს. "ილი ჯგუფი" ლოტი N3-ზე ხელშეკრულება N070301/30/067 ღირებულებით - 137851,72 ლარი.

4. ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე მწვანე ზოლის ექსპლუატაციისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებულ ტენდერში 2009 წლის 04 მარტს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასა და გამარჯვებულ ორგანიზაცია - შ.პ.ს. "მომავლის საქმეს" შორის დაიდო ხელშეკრულება N070502/30/072 ღირებულებით 121027,78 ლარი.

5. ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე კაპიტალურად და მიმდინარედ შესაკეთებელ ქუჩებში და საცხოვრებელი სახლების ეზოებში ავარიული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების აღდგენის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებულ ტენდერში 2009 წლის 13 მარტს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასა და გამარჯვებულ ორგანიზაციას - შ.პ.ს. "ტონი და კომპანი"-ს შორის დაიდო ხელშეკრულება N070503/31/085 ღირებულებით 148987,40 ლარი.

6. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე არსებული გზების, მოედნების, ტრიტუარების, საცხოვრებელი სახლების ეზოებში გზის საფარის მიმდინარე (საჭიროების შემთხვევაში ახალი საფარის მოწყობის) და ლამის ქუჩის II შესახვევის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებულ ტენდერში 2009 წლის 28 აპრილს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობასა და გამარჯვებულ ორგანიზაციას - შ.პ.ს. "თბილკანალი 2003"-ს შორის დაიდო ხელშეკრულება N070501/31/139 ღირებულებით 426809,51 ლარი.

ცვლილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2009 წლის 30 აპრილს გამოცხადებულ ტენდერში დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი შესყიდვის ობიექტი – ქსელური მოწყობილობები, კომპიუტერული და სხვა საოფისე ტექნიკა

განცხადების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. „საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16) „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს საერთაშორისო ტენდერს კომპიუტერული, ქსელური მოწყობილობებისა და სხვა საოფისე ტექნიკის შესყიდვაზე 12 ლოტად.

Table with 6 columns: Lot No, Description, Bidder Name, Lot No, Quantity, Total Price. Includes lots for servers, monitors, printers, and network equipment.

Table with 5 columns: Lot No, Description, Bidder Name, Quantity, Total Price. Includes lots for laptops, projectors, and other IT equipment.

შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: ფაქსი: (+99532) 261-337; 261-335. საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, სოფიკო ბერიშვილი. ელ-ფოსტა: a.tevdoradze@mof.ge, s.berishvili@mof.ge.



## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ



სსიპ – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს ქაღალდის შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

შესყიდვის ობიექტი – ქაღალდი

ლოტი	დასახელება	ზომა	წონა	რაოდენობა	ერთეული	მოთხოვნები	მოწოდების ვადები
I	ცარცის ქაღალდი (გლუვი)	B1 (70:100)	170გრ.	1.00	ტონა	საჭიროა ნიმუშის წარმოდგენა	არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 1 თვისა
II	ქრომერზაცის ქაღალდი	B1 (70:100)	300 გრ.	1.00	ტონა	საჭიროა ნიმუშის წარმოდგენა	არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 1 თვისა
III	კრაფტის ქაღალდი (ყავისფერი)	B1 (70:100)	65 გრ.	500.00	კგ	საჭიროა ნიმუშის წარმოდგენა	არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 1 თვისა
IV	კრაფტის ქაღალდი (თეთრი)	B1 (70:100)	66 გრ.	1.00	ტონა	საჭიროა ნიმუშის წარმოდგენა	არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 1 თვისა
V	ოფსეტი (ფორზაცი)	A1 (60X 84)	120 გრ.	1.00	ტონა	საჭიროა ნიმუშის წარმოდგენა	არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 1 თვისა
VI	სავიზიტოების ქაღალდი (თეთრი ტილო)	B1 (70:100)	ბ1; 280 გრ.	10.00	შეკვრა	საჭიროა ნიმუშის წარმოდგენა	არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 1 თვისა
VII	ქაღალდი საოფისე	A4	80 გრ.	3,000.00	შეკვრა	წარმოდგენილი უნდა იყოს ნიმუში და პროდუქტის სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ ნორმებს: სითეთრე არანაკლებ 148-152, სიკაშკაშე არანაკლებ 92%, ეკონომიური, მინ. გატარება 3000-3200 ფურცელი.	არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2 კვირისა
VIII	ქაღალდი საოფისე	A3	80 გრ.	500.00	შეკვრა	წარმოდგენილი უნდა იყოს ნიმუში და პროდუქტის სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ ნორმებს: სითეთრე არანაკლებ 148-152	არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 1 თვისა

– ყველა ტიპის ქაღალდი უნდა იყოს დაფასოებული ზომების მიხედვით და შეფუთული.

– დაფინანსების წყარო: ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

– სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა განცხადების გამოქვეყნების დღიდან – 2009 წლის 15 მაისიდან 2009 წლის 4 ივნისის 17:00 საათამდე ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის (200 (ორასი) ლარის ოდენობის) დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, მისამართზე: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მის: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5, მე-2 სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

სახელმწიფო ხაზინა ბ/კოდი – 220101222;  
ანგ/ანგარიში – 200122900;  
საინტენტიფიკაციო კოდი – 206160606;  
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი – 300773174.

საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული: სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ორგანიზაციული კოდი 1533, ტენდერი №6

– დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი – დედანი, ორი – ასლი), 2009 წლის 5 ივნისის 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5, ოთახი №237 სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სატენდერო კომისიის აპარატი.

– წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2009 წლის 5 ივნისის 15:00 საათზე, ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5-ში, მე-3 სართული, ოთახი №349.

– პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება (ალტერნატიული წინადადება არ განიხილება).

– დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

– საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან) („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის (გაოტრება რეაბილიტაციის) საქმე („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).

დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).

ე) ორგანიზაციის მოგების და ქონების წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის).

**ფიზიკური პირისათვის:**

ა) სამომსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციები (ბოლო 2 წლის);

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაზუსტებას არ ექვემდებარება).

– ყველა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ხელმოწერილი ან ბეჭდით დამოწმებული სატენდერო წინადადება, (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში) რომელიც უნდა მოიცავდეს ლოტის ღირებულებას, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადასა და გადახდის სასურველ პირობებს.

ბ) სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ქართულ ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

– საკვალიფიკაციო მონაცემთა დამადასტურებელი მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც.

– სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან არანაკლებ 30 დღე. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

– სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1% -ის ოდენობით, რომელიც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას, ასევე ხელშეკრულების უზრუნველყოფის 5%-იანი საბანკო გარანტია, რომელიც ასევე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მოწოდების ვადას.

– იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში, არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

– ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე გაცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

– სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის №3/5, მე-1 სართული, საკონტაქტო პირები ოთახი №122 სოფიო კველიშვილი (ტელ 899 41 22 62) და ოთახი №237 ია გოგოტიშვილი (ტელ 877 23 77 27).

სატენდერო კომისია



### ბანკსა და ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ. N1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს მუნიციპალიტეტის სოფლებში სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია:  
I ლოტი - სოფ. ხოტევი-ნკადისი-სხარტალის სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

II ლოტი -- სოფ. უყემის შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.  
III ლოტი - სოფ.გორის შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.  
IV-ლოტი- სოფ.მეორე ტოლის საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2. დაფინანსების წყარო: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.  
3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სასურველი ვადაა 2009 წლის 15 ივლისამდე მიწოდების ადგილია ამბროლაურის მუნიციპალიტეტი.

